47
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მაღ. რ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. № 4. მე-2 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—46

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება 100.000 მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 2.500,000 მ.

№ 96 კვირა, 29 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000 მან. № 96

დღიური

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

საფრანგეთის პრესა აცხადებს, რომ თუ ოსმალეთმა ჩესტერის მსგავსი კონცესიები არ მისცა საფრანგეთს—მოსალოდნელია ახალი ომი

ოსმალეთის დელეგაცია დაჟინებით მოითხოვს საბჭოთა რესპუბლიკების მოწვევას ლოზანას კონფერენციაზე.

ლოზანაში ჩავიდა ამხ. ვოროვსკი.

საოკუპაციო ჯარის სარდლობა აცხადებს, რომ მიუხედავათ ყოველგვარი მიღებული მკაცრი ზომებისა, გერმანიის მოხამსახურენი რურში მაინც განაგრძობენ საბოტაჟს.

ორშაბათს, 30 აპრილს, საღამოს 5 საათზე სახალხო სახლის დარბაზში შესდგება თბილისის საბჭოს პლენუმის სხდომა:

დღის წესრიგი:

1) საადგილ-მამულო განყოფილების მოხსენება განყოფილების მოქმედების შესახებ. 2) პრეზიდიუმის მოხსენება ალმასკომის მოქმედების და მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ. 3) 1923 წლის შემოსავალ გასავლის აღრიცხვის დამტკიცება. 4) „კომზაგესის" მოხსენება მუშაობის მსვლელობის შესახებ 5) მიმდინარე კითხვები.

საბჭოს წევრებს ვსთხოვთ თავის დროზე გამოცხადდენ სხდომაზე..

პრეზიდიუმი.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმისაგან

ამ ჟამათ ხელახლა მეორდება ბაზრის ვაკხანალია პირველ საჭიროების საგნებზე ფასების გაზრდისა, რაც მძიმეთ მოქმედობს მუშის ბიუჯეტზე.

ცხადია, ასეთი მდგომარეობა არ დარჩება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ყურადღების გარეშე, საბჭო ამ ჟამათ სასწრაფო ზომებს იღებს ამ საკითხის მოსაგვარებლად და **მარტის თვის რეალურ ხელფასის შესანარჩუნებლათ,** ამიტომ საბჭოს პრეზიდიუმი მოუწოდებს მუშათა მასებს არ აყვნენ საერთო შიშს.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო მუშათა ინტერესების სადარაჯოზე სდგას და მარტისთვის რეალურ ხელფასის შენარჩუნებისაკენ მიმართული მისი ღონისძიებები დაუყოვნებლივ **ცხოვრებაში გატარდება.**

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მდივანი კურულოვი.

საგულისხმო აღსარება

უცხოეთის პრესა უკანასკნელ ხანებში სავსეა ფანტასტიური ხმებით საბჭოთა რუსეთის მდგომარეობის შესახებ. „დეილი ნიუზი" ამ ფანტასტიური ხმების უარსაყოფად ათავსებს ცნობილი კორესპონდენტის მეკენზის წერილს სათაურით: „ფაქტები მოსკოვიდან". ამ წერილში ფაქტებს გარდა ბევრი სისულელეც არის. მაგრამ უცხოელი კორესპონდენტების სისულელეს შევეჩვიეთ, სწორ მსჯელობას კი არა. ამიტომ მეტად საინტერესოა რუს მკითხველისათვის ბატონ მეკენზის ორი შენიშვნის მოყვანა.

ის სწერს: **„ძველ რეჟიმს იმდენივე შანსები აქვს ბატონობის დაბრუნების, რამდენიც ჰანოვერის დინასტიას ვაშინგტონში ხელისუფლების დაბრუნების".** ასე ამშვიდებს ბატონი მეკენზი რუს თეთრგვარდიელებს და უმატებს: **„ემიგრაცია, რომელიც უდარდელათ ცხოვრობს პარიზსა და ლონდონში და ხელს უწყობს შეთქმულებებს რუსეთში, დამნაშავეა სისხლის სამართლის ბოროტებაში".** მაგრამ უფრო საყურადღებოა ამავე კორესპონდენტის შენიშვნა, რომ დაბრკოლებები საბჭოთა ხელისუფლებისათვის შესაძლოა შეიქმნეს ბოლშევიკების საკუთარ რიგებში უთანხმოებიდან, ვიდრე რეაქციონური წრეების მხრიდან. ამ შენიშვნაშია საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციის იმედების და რუსეთში პოლიტიკური მდგომარეობის ცენტრი. პარტიის ყრილობამ თავისი დადგენილებით ცენტრალური კომიტეტის მოხსენების შესახებ, დაამტკიცა, რომ ის ხედავს მდგომარეობას და რომ ის შესძლებს ყველა იმ აზრთა სხვადასხვაობის აღმოფხვრას, რომლებიც გამოწვეულია რთული პოლიტიკური მდგომარეობით.

მაგრამ თუ მეკენზის შენიშვნა არ სცილდება ლიბერალური ინტელიგენტ ჟურნალისტის მიზანშეწონილი შენიშვნის ფარგლებს, ამერიკელ ინტელიგენციის ლიბერალურ ორგანოში „ნეიშენში" მოთავსებული წერილი, რომელიც ეხება ვლადიმერ ილიჩის ავადმყოფობით შექმნილ მდგომარეობას, დიდათ სცილდება ბურჟუაზიის ჩვეულებრივი მსჯელობის საზღვრებს. „ნეიშენი" აღიარებს, რომ მთელი ბურჟუაზიული პრესა მოწყურებულია მიიღოს ცნობა, რომ შეწყდა რუსეთის რევოლიუციის ბელადის მაჯისცემა. ის ამას ასე ხსნის: **„ლენინი უსათუოდ უდიდესი ახალი კაცია, რომელსაც იცნობს ქვეყანა ომის შემდეგ".** ბურჟუაზია, რომელსაც სძაგს საბჭოთა რუსეთი, თავის იმედებს ამ გიგანტის სიკვდილზე ამყარებს და ფიქრობს, რომ მისი სიკვდილი იქნება საბჭოთა რუსეთის ბოლო. **„მაგრამ,—აცხადებს სარედაქციო წერილი,—ეს აზრი შემცდარია. მან რომ რაიმე საფუძველი ქონდეს, ეს უბედურება იქნება რუსეთისათვის". „თვით საბჭოთა რუსეთის მტრების და აგრეთვე მისი მეგობრების აზრით, რომ რუსეთის ბელადების ხელმძღვანელმა ჯგუფმა მათ თავა გამგეობაში უსუსურობა გამოიჩინოს, რუსეთს ანარქია მოელის... ასეთი იყო მეფის რუსეთის თვალსაჩინო დიპლომატის ახლად გარდაცვლილი ბარონ როზენის აზრი, ასეთია ევროპის დიპლომატების უმრავლესობის აზრიც. რუსეთში არ არის სხვა მიმართულების ჯგუფი, რომელიც შესძლებდა სახელმწიფოში ხელისუფლების შენარჩუნებას".**

ამერიკის ბურჟუაზიული ყოველკვირეული ორგანო უფრო შორს მიდის; ის შემდეგი სიტყვებით ხატავს საერთაშორისო მდგომარეობას: **„ყველა მთავრობები მსოფლიოში საშინელი დაშლის პროცესში არიან, თანამედროვე კაპიტალისტური სისტემა დაცემის პერიოდშია და კაცობრიობა განახლების წყურვილს განიცდის, პირველათ ისტორიის მანძილზე ის სდგას არჩევანის წინაშე—ან ახალი ომები (რადგან კაპიტალისტური სისტემა იწვევს ომებს), ან დაღუპვა. ასეთ პირობებში ის შეეცდება შექმნას ცხოვრების ახალი ფორმები, ის გამოცდის მუშურ მთავრობას, სოციალიზმს, ამა თუ იმ კლასის დიქტატურას, კოოპერაციას, კომუნიზმს, ყველაფერს, რაცკი გსურთ, ოღონდ კი ამით გაიხსნას გზა ახალი და უფრო სამართლიანი ცხოვრებისაკენ. კომუნისტური ექსპერიმენტი რუსეთში მეტად სალი მოვლენაა და ვერ დაიღუპება, ის არც უნდა დაიღუპოს. მიუხედავათ იმისა, რომ „ნეიშენის" გამომცემლები კომუნისტები არ არიან, მუდამ გრძნობდენ, რომ რუსეთის მოსახლეობის მზად ყოფნამ ამ ექსპერიმენტის გასატარებლად სხვა ერებში დახმარება უნდა ჰპოვოს და არა წინააღმდეგობა".**

ამერიკული ბურჟუაზიული ჟურნალის ამ წერილში გამოხატულია ამერიკის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის მისწრაფებანი. ამ ძლევამოსილი კაპიტალიზმის და მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ბურჟუაზიის ქვეყანაში, იმ ბურჟუაზიის, რომელიც თავისი ბატონობის დამყარებას ცდილობს მთელს ქვეყანაში, ატეხულ მილიონ კაცზე, რომელიც თავის ხელ აპოტინებს არა მარტო ევროპისაკენ არამედ შორეული და ახლო აღმოსავლეთისაკენაც,—ამ ქვეყანაშიც ბურჟუაზიული მოაზროვნეები ხედავენ კაპიტალისტური სისტემის არა მარტო გაბზარვას, არამედ მისი კრახის დასაწყისსაც.

ისინი კი ხულობენ: საით წავიდეთ, როგორ მოვაწყოთ ახალი ცხოვრება? და მიუხედავათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ აგიტაციისა და მის შესახებ გავრცელებულ სხვა და სხვა ჭორებისა, მიუხედავათ იმ ტანჯვისა, რომელიც გადიტანა რუსეთის 150 მილიონიანმა მოსახლეობამ, ისინი ხედავენ, რომ ჩვენ ვაკეთებთ ახალი სამყაროს შექმნის დიად საქმეს; ისინი ჯერ კიდევ არ არიან დარწმუნებული, რომ ჩვენ მიერ გავლილი გზა სწორია, ამ შემთხვევაში მათ კავშირი უნდა გაეწყვიტათ ბურჟუაზიასთან და დასდგომოდენ კომუნიზმის გზას, მაგრამ ისინი გრძნობენ, რომ რუსეთის ტანჯვა—ეს ახალი სამყაროს მშობიარობის ტკივილებია. ისინი რუსეთის მრავალტანჯულ მასებში ხედავენ ახალი კაცობრიობის პიონერებს, ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლებს.

ჩვენი პარტიის მეთორმეტე ყრილობა მთელი ქვეყნის ამ მაძიებელი ინტელიგენციის წრეებს უმტკიცებს, რომ ჩვენ უკვე არ ვეძებთ, რომ ჩვენ უკვე ეჭვი არ გვეპარება, რომ ვიპოვენით სწორი გზა და რომ ჩვენ მტკიცეთ მივდივართ თავისი მიზნისაკენ. როცა დაიწყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდი, თვით ჩვენს რიგებში ეჭვიანობდენ იმის შესახებ ხომ არ ნიშნავს ნეპი არა მარტო გზის, არამედ მიზნის გამოცვლასაც? ეს ეჭვიანობა არსებობდა ამ მაძიებელი ინტელიგენციის რიგებშიც. მას ეჩვენებოდა, რომ ის ხედავს დიდი ისტორიული დაწყების დაღუპვას და ეკითხებოდა თავის თავს: მშრომელი გზა რჩება? ჩვენი გამარჯვების წლემა, საბჭოთა რუსეთის ზრდამ და გამაგრებამ გამოიწვია ახალი სიმპატიების გამომჟღავნება ამ მერყევ ელემენტებში. და ეს ახალი სიმპატიები არა მარტო გახრწნიან მსოფლიო ბურჟუაზიის ყოყოჩობას, არამედ გავლენას მოახდენენ მუშათა მოძრაობაზეც, რომელიც, განსაკუთრებით ანგლო-საქსონურ ქვეყნებში, რადიკალური ბურჟუაზიული ინტელიგენციის გავლენის ქვეშ იმყოფება.

კ. რადეკი.

რადიო-დეპეშები

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

(ბიულეტენი № 28).

მოსკოვი. 27 აპრილი. ტემპერატურა—37,7, პულსი—106, სუნთქვა—22, საერთო მდგომარეობა უკეთესია.

1923 წ. 27 აპრილი, ნაშუადღ. 2 საათი.

პროფესორები: მინკოვსკი, ფიორსტერი, კრამერი, კონნე, გოტიე, ბუმკე
პრივატ-დოცენტი: კოჟევნიკოვი.
ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: სემაშკო.

რურის ოლქის ოკუპაცია

მუშები მტკიცედ მოქმედებენ.

ბერლინი. 25 აპრილი. სამთომადნო წარმოების ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყრილობამ ესენში ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომ **საფრანგეთის იმპერიალისტების მიერ რურის ნახშირის რეკვიზიციაში მიღწეული წარმატება შედეგია გერმანელ კაპიტალისტების ვერაგული პოლიტიკისა.** ფრანგებისათვის ნახშირის გაზიდვის საქმეში ხელის შესაშლელათ უნდა მოეწყოს მაღაროს კომისიები ნახშირის გასანაწილებლად. მუშებმა თავისი ხვედრი ნახშირის ულუფა უნდა წაიღონ ადმინისტრაციის დაუკითხავად. რეზოლიუცია მოითხოვს ნახშირის მარაგის დარიგებას მუშებისათვის. რეზოლიუციის თანახმად მუშებმა არ უნდა იმუშაონ ძალდატანებით და აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა ამოღებულ ნახშირს ფრანგების ხელში ჩავარდნა მოელის.

ოკუპაციის გარეშე

აუქმებენ გერმანიის განკარგულებებს.

პარიზი. 28 აპრილი. რეინალდის უმაღლესმა კომისიამ ბრძანება გამოსცა, რომ გერმანიის მთავრობის ბრძანებები არ ვრცელდება საოკუპაციო ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე.

აძლიერებენ ბლოკადას.

ბერლინი: 28 აპრილი. რეინლანდის უმაღლესმა კომისიამ აკრძალა საავტომობილო მიმოსვლა ოკუპაციით დაკავებულ ოლქებსა და გერმანიის დანარჩენ ტერიტორიას შორის, აკრძალვა ეხება რკინის გზის ზოგიერთ ხაზებსაც. ამის გამო სურსათის მიწოდება დაპყრობილ ოლქებისათვის, მაგარითად ვისბადენისა და მაინცისათვის, სრულიად შეწყვეტილია. ეს ბლოკადა საშინელ მდგომარეობაში აგდებს მოსახლეობას, რომელიც მოკლებულია სურსათის მიღების საშუალებას. საფრანგეთის ხელისუფლებამ ბრძანება გასცა დაპყრობილი ტერიტორიის ეკლიანი მავთულით და თხრილებით შემოფარგვლის შესახებ

გერმანია განაგრძობს პასიურ წინააღმდეგობას.

ბერლინი. 28 აპრილი. „მატენში" მოთავსებული წერილის გამო, რომელიც ეხება საფრანგეთის მოთხოვნილებას მოლაპარაკების დაწყებამდი გერმანიის მხრივ პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ, გერმანიის პრესა აცხადებს, რომ ეს წინადადება მიუღებელია. გაზეთები ამბობენ, რომ მიუხედავად დიდი სიძნელისა, გერმანიის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს განაგრძოს პასიური წინააღმდეგობის პოლიტიკა

ახალი სისხლის ღვრა.

რომი 28 აპრილი. რურის სხვა და სხვა ადგილებში მოხდა ახალი შეტაკება საფრანგეთის ჯარებს და გერმანიის მუშებს შორის.

ლოზანას კონფერენცია

ოსმალეთი მოითხოვს საბჭოთა რუსეთის მოწვევას.

ლოზანა. 25 აპრილი. ლოზანას კონფერენციის პოლიტიკური კომისიის სხდომაზე საზავო ხელშეკრულების ტექსტში სრუტეების შესახებ შეთანხმების მუხლის შეტანაზე კამათის დროს, ისმეტ-ფაშამ **მოითხოვა საბჭოთა რუსეთის და შავი ზღვის განაპირა სახელმწიფოების მოწვევა ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებათ,** მათთვის შეთანხმების ტექსტში შესწორების შეტანის უფლების მინიჭებით. ისმეტ ფაშამ განაცხადა, რომ **სრუტების შესახებ შეთანხმებას უსათუოდ ხელი უნდა მოაწერონ საბჭოთა რუსეთმა და შავი ზღვის განაპირა სახელმწიფოებმა.**

ისმეტ-ფაშას განცხადების შემდეგ ინგლისის წარმომადგენელმა რუმბოლდმა განაცხადა, რომ რუსეთი თავის დროზე მოწვეული იქნება, რათა ხელი მოაწეროს ხელშეკრულებაზე, თუ კი ის ამას მოისურვებს.

ისმეტ ფაშას განცხადებას კონფერენციის წრეებში თვლიან **რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობის დამამტკიცებელ საბუთად.**

საფრანგეთი ჯერ ემზადება.

ლოზანა. 25 აპრილი. საფრანგეთი უცდის რურის ოკუპაციის შედეგებს, რომ ამის შემდეგ ოსმალეთს განუცხადოს თავისი მოსაზრებები ჯერჯერობით კი საფრანგეთი ამაგრებს თავის პოზიციას სირიაში, ოსმალეთი კი ჯარებს გზავნის სირიის საზღვარზე.

ოსმალეთი არ უთმობს.

ლოზანა. 26 აპრ. ეკონომიური კომისიის სხდომაზე, რომელსაც იტალიის წარმომადგენელმა მონტანიმ [illegible], ოსმალეთის დელეგაციამ უარი განაცხადა ოსმალეთში მცხოვრებ ერებზე უცხოელების პროტექტორატის აღდგენაზე, ოსმალეთში მცხოვრებ უცხოელებისათვის ქონების დაბრუნების საკითხის გასარჩევად შერეული სამედიატორო სასამართლოს ცნობაზე და უცხოელებისაგან აღებულ გადასახადების დაბრუნებაზე, პოლიტიკური კომისიის სხდომაზე არც ერთი საკითხი არ გარჩეულა

ოსმალეთი არ უთმობს საფრანგეთს.

ლონდონი. 26 აპრილი. ოსმალეთის გაზეთები უარყოფენ ცნობებს, თითქოს ოსმალეთს განზრახვა აქვს საფრანგეთს ჩესტერისათვის მიცემული კონცესიების საკომპენსაციოდ მისცეს სხვა კონცესიები, „დეილი მეილის" დიპლომატიური კორესპონდენტი იუწყება, რომ **მოსალოდნელია ახალი ომი ახლო-აღმოსავლეთში თუ ოსმალეთმა არ დაუთმო საფრანგეთს კონცესიების საკითხში.**

ისევ მოსული.

ლონდონი. 26 აპრილი. ლოზანას კონფერენციის განახლებამ გამოაცოცხლა ინტერესი მოსულისადმი. „ტაიმსის" კორესპონდენტის ცნობით ოსმალეთს სურს დაიბრუნოს მოსული სტრატეგიული და ეკონომიური მოსაზრებებით. ინგლისელები კი მოსულს თვლიან სიმაგრეთ, რომელიც იცავს ინგლისის საჰაერო სავაჭრო გზას, ისე როგორც გიბრალტარი იცავს ხმელთა-შუა ზღვის ნავთსადგურს.

ამხ ვოროვსკის ჩასვლა.

ლოზანა. 26 აპრილი. **რუსეთის სავაჭრო მისიის მეთაური იტალიაში, ამხ. ვოროვსკი ლოზანაში ჩავიდა.**

უშედეგოთ.

პარიზი. 28 აპრილი. ლოზანის კონფერენციის საფინანსო კომისიის სხდომა გადადებულია შაბათისთვის. კომისიის სხდომამ უშედეგოთ ჩაიარა.

ინსტრუქციებისათვის.

პარიზი. 28 აპრილი. საფრანგეთის დელეგატი გენერალი პელე 28 აპრილს გაემგზავრება პარიზს პუანკარესთან სათათბიროთ.

რუმბოლდის წინადადება.

პარიზი. 28 აპრილი. ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარემ რუმბოლდმა წამოაყენა წინადადება საბერძნეთის ზონაში არსებულ რკინის გზის ხაზის ლიულებურგ—ადრიანოპოლის ერთა ლიგის კონტროლის ქვეშ გადაცემის შესახებ. ოსმალოებმა და ბერძნებმა თავი შეიკავეს პასუხისაგან ამ წინადადებაზე.

დელეგაციების თავმჯდომარეთა თათბირი.

პარიზი. 28 აპრილი. გენერალ პელეს, მონტანიისა და რუმბოლდს გუშინ თათბირი ქონდათ ისმეტ ფაშასთან. თათბირის შედეგები ჯერ არ არის გამოქვეყნებული.

ოსმალეთი არ სთმობს.

პარიზი. 28 აპრილი საფრანგეთის პრესა იუწყება, რომ ეკონომიურ კომისიაში განხილულ 12 მუხლის შორის ათი მუხლი, ოსმალოების დაუთმობლობის გამო გადაცემულია ექსპერტთა კომისიაში.

კაპიტალისტები ემზადებიან ომისათვის

ვერ შეთანხმდნენ.

ბერლინი. 28 აპრილი. როგორც მოსალოდნელიც იყო, არგენტინის, ბრაზილიის და ჩილის კონგრესზე ვერ მიაღწიეს შეთანხმებას განიარაღების საკითხში.

არგენტინა მოითხოვს გემების ტონაჟის განსაზღვრას 25,000 ტონამდე, ხოლო დამხმარე გემების და სუბმარინების—15,000 ტონამდე. ბრაზილია კი პირიქით მოითხოვს გემების ტონაჟის განსაზღვრას 80,000 ტონამდე. დანარჩენ სამხედრო გემების შესახებ ბრაზილია მოითხოვს ყოველივე განსაზღვრის გაუქმებას.

„პოლიტიკური" დასვენება.

ბერლინი. 28 აპრილი. გაზეთი „ნიუ იორკ გერალდ"-ი იტყობინება, რომ ამერიკის ფინანსთა მინისტრი მელონი აპრილის ბოლო რიცხვებში გაემგზავრება დასვენების მიზნით ევროპაში, სადაც ის შეხვდება ევროპის პოლიტიკურ მოღვაწეებს.

ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთის მცხოვრებლები მისწრაფიან რეფორმებისაკენ.

ანგორა. 26 აპრილი. გაზ. „ენი გიუნ", ეხება ანატოლიაში არსებულ მისწრაფებას რეფორმებისადმი, სწერს: „წინად რეფორმების გატარებას ხელს უშლიდენ უცხოელები. ეხლა უცხოეთის ძალადობა აღარ არის. რასაკვირველია წინააღმდეგობას ექნება ადგილი, მაგრამ ცხადია ის, რომ მისწრაფება რეფორმებისადმი ძლიერ განმტკიცდა მასებში.

ტრაპიზონის „თავდაცვის კომიტეტი" წინააღმდეგია.

ანგორა. 26 აპრილი. „თავდაცვის ცენტრალური კომიტეტის" განკარგულების საპასუხოდ, ტრაპიზონის კომიტეტის დათხოვის შესახებ, უკანასკნელმა უარი სთქვა თავისი უფლებების გაუქმებაზე. ანგორის მთავრობამ უბრძანა ტრაპიზონის ხელისუფლებას, რათა უკანასკნელმა ყოველივე ზომებით შეაჩეროს ძველი თავდაცვის კომიტეტის მუშაობა.

ესალმებიან კომუნიზმს.

ანგორა. 26 აპრილი. ოსმალეთის პრესის დირექტორმა ახმეტ ალაიევმა „ოსმალეთის კერის" (საზოგადოებრივი ორგანიზაცია) შენობის მოხსნაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც **შეეხო მეცნიერულ მარქსიზმის ისტორიულ მნიშვნელობას და კომუნისტების, კერძოთ ამხ ლენინის და ტროცკის მაღალ მიზნებს და ენტუზიაზმს და აღნიშნა, რომ კომუნისტები ცდილობენ გააფაქიზონ და განაპეტაკონ კაცობრიობა.**

დასასრულ ალაიევმა აღნიშნა აგრეთვე ოსმალეთის ნაციონალიზმის დიდი მნიშვნელობა.

გერმანია და ანტანტა

წყვდიადით მოცული მომავალი.

პარიზი. 28 აპრ. პარასკევს გამოქვეყნდა გერმანიის სამრეწველო წრეების ცნობა, რომ გერმანიის მრეწველთა და მთავრობის წრეებმა არ იციან თუ როგორი იქნება გერმანიის მდგომარეობა მომავალში.

„ფორვერტსი" ამბობს, რომ გერმანიის ნოტა, რომელიც ეხება წინადადებებს, არ იქნება დამთავრებული და გამოქვეყნებული მომავალ სამშაბათამდი.

მოკავშირეები მოითხოვენ.

პარიზი. 28 აპრილი. ბერლინიდან მიღებული ცნობით, გერმანიის მთავრობამ მოკავშირეებისაგან მიიღო ნოტა, რომელიც მოითხოვს გერმანიის პოლიციის ახლანდელი ორგანიზაციის დაშლას და მისთვის ისეთი მდგომარეობის შექმნას, როცა შესაძლებელი იქნება მისი გარჩევა რეიხსვერისაგან. ნოტა მიუთითებს, რომ მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი ლაპარაკი საკონტროლო კომისიის ფუნქციების შემცირების შესახებ.

ბერლინი. 26 აპრილი. პრესის ცნობებით, გერმანიის მთავრობასა და მრეწველობის ლიდერების შორის სწარმოებს მოლაპარაკება გერმანიის მომავალ წინადადების შესახებ სარეპარაციო საკითხზე, მოლაპარაკების მთავარი მიზანია გარანტიების საკითხი. გაზეთი „ცეიტუნგი" აღნიშნავს, რომ სარეპარაციო საკითხში პარტიათა შორის უკვე მიღწეულია სრული ერთსულოვნობა. გაზეთი „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგი" უარყოფს ასეთ შეთანხმების არსებობას და პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ გერმანიამ გააკეთოს რაიმე წინადადება.

რაში იხარჯება გერმანელ მუშების შრომა.

ბერლინი. 28 აპრილი. ინგლისის ხაზინის პირველმა ლორდმა განაცხადა, რომ გერმანიამ პირველ მაისამდი გადაუხადა ინგლისს 1.150 მილიონი ოქროს მარკა.

მოკავშირეების ნოტა.

ბერლინი. 28 აპრილი. ლონდონიდან და პარიზიდან იუწყებიან, რომ ელჩების კონფერენციამ გერმანიის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც ისინი პროტესტს აცხადებენ გერმანიის პოლიციის საქციელის გამო.

საფრანგეთი მოითხოვს.

რომი 28 აპრ. პარიზიდან მიღებული ცნობით საფრანგეთი მხოლოდ მაშინ შეუდგება მოლაპარაკებას, როცა გერმანია რურში შესწყვეტს პასიური წინააღმდეგობის პოლიტიკას.

რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკება

გოტოს განცხადება.

ტოკიო. 26 აპრილი. ჟურნალისტებთან საუბრის დროს გოტომ აღნიშნა: „მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ თუ იოფფემ მოინდომა სახალინის საკითხის მოგვარება, საქმე აუცილებლათ დადებით დამთავრდება. გოტომ მოიხსნა თავიდან მერის სახელწოდება ეს აიხსნება იმით, რომ მას განზრახული აქვს შეუდგეს რუსეთთან მოლაპარაკებას.

რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობა მტკიცდება

მოსკოვი. 24 აპრ ანგორიდან დაბრუნებულმა საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ოსმალეთში ამხ. არალოვმა, „როსტას" კორესპონდენტთან საუბრის დროს, სთქვა: „ოსმალეთის მცხოვრებლების ყველა წრეები ძლიერ მეგობრულად არიან განწყობილი საბჭოთა რესპუბლიკებისადმი, არ ავიწყდებათ რა, რომ რუსეთმა დახმარება გაუწია ოსმალეთს უკიდურესი გაჭირვების დროს ყველანი დარწმუნებული არიან, რომ რუსეთის დიდი მორალური დახმარების საშუალებით, ოსმალეთი გამარჯვებული გამოვიდა. ჩვენი ბელადების, განსაკუთრებით ამხ. ლენინის და ტროცკის სახელებს კარგად იცნობს მთელი ოსმალეთი. რუსეთს და ოსმალეთის მთავრობის შორის დამყარებულია ნამდვილი მეგობრული ერთიერთობა. ამ ჟამად სწარმოებს მოლაპარაკება რუსეთ-ოსმალეთის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

ჩესტერის კონცესიის პროექტის შესახებ, ამხ. არალოვი ამბობს: „ეს კონცესია, რომელიც მეტ უფლებას აძლევს ბანკირებს, ოსმალეთის ხალხისათვის სახიფათოა ეკონომიურად, ხოლო სასარგებლოა პოლიტიკურად, მიიშორა რა საფრანგეთი და მეგობრად გაიხადა რა ამერიკა, ქემალ-ფაშამ ამ კონცესიით გათიშა ანტანტის მთლიანი ფრონტი და შეიტანა არევ-დარევა მოკავშირეების რიგებში. ამ ჟამად ოსმალეთი ძლიერ მოღონიერდა პოლიტიკურად. ოსმალეთის სამხედრო ძლიერებას ყველანი ანგარიშს უწევენ. ეროვნულ თავისუფლებისათვის ოსმალეთის ბრძოლის პირველი სტადია შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. წინ სდგას მეორე სტადია—ეკონომიური თავისუფლება. ამ სფეროში ოსმალეთს წინ უდგას დიდი დაბრკოლებები, ვინაიდან ეკონომიურად ის ძლიერ ჩამორჩენილია.

სხვადასხვა ამბები

საჰაერო ხაზი მოსკოვი—ლონდონი.

ბერლინი 28 აპრილი. გაიხსნა საჰაერო ხაზი მოსკოვი—ლონდონი. ლონდონიდან ყოველ დღე გამოფრინდება სამი საჰაერო აპარატი.

ავარია ზღვაზე

ბერლინი 28 აპრილი. რეიტერის სააგენტოს კაპშტატიდან იტყობინებენ, რომ პორტუგალიის საფოსტო გემი „მესმედესი" აფრიკის სამხრეთ დასავლეთის ნაპირებთან მეჩეჩზე მოხვდა. დასახმარებლათ მოსული ავსტრალიის გემის მეზღვაურებმა „მესმედესზე" ვერავინ ნახა, მიუხედავათ იმისა, რომ მასზე 270 მგზავრი იყო.

უარი გერმანიის კონცესიების გაუქმებაზე

ბერლინი. 28 აპრილი. ისმეტ-ფაშამ უარყო ოსმალეთის მონაწილეობა გერმანიის და ავსტრიის წინანდელი კონცესიების ლიკვიდაციის საქმეში, როგორც ამას მოითხოვენ მოკავშირეები ვერსალის ხელშეკრულების თანახმად.

ნახშირის კრიზისი ნიგერში.

ბერლინი. 28 აპრილი. ინგლისის ნახშირის მაღაროებში ნიგერში (აფრიკაშია) ნახშირის დიდი კრიზისია. კრიზისი გამოწვეულია მაღაროს მუშების მოთხოვნით შრომის ხელფასის გადიდების შესახებ.

ჩეხო-უნგრეთის კონფლიქტი.

პრაგა 25 აპრ. უნგრეთის მთავრობის უარყოფითი პასუხის გამო ჩეხო-უნგრეთის საზღვარზე ჩეხო-სლოვაკიის საბაჟოს მოხელის მოკვლის შესახებ, უნგრეთისა და ჩეხო-სლოვაკიის შორის თავი იჩინა სერიოზულმა კონფლიქტმა. ჩეხო-სლოვაკიის მთავრობამ დაჰკეტა უნგრეთის საზღვრები და გადაასახლა თავის საზღვრებიდან 50 გამორჩეული უნგრელი მოქალაქე.

უნგრეთისა და ჩეხო-სლოვაკიის შორის რკინის გზით მიმოსვლა შეწყვეტილია. ანალოგიური რეპრესიები მოსალოდნელია უნგრეთის მთავრობის მხრივაც.

გერმანია

სტინესი თავს იმართლებს.

ბერლინი, 26 აპრილი, სტინესის ორგანო გაზეთი „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგი" მეტად ბუნდოვანათ უარყოფს სტინესის დანაშაულობას გერმანიის მარკის დაცემაში. პირიქით, სტინესის მოწინააღმდეგე პრესა ადასტურებს სტინესის წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებებს და დაჟინებით მოითხოვს ამ საქმის დაუყოვნებლივ გამომჟღავნებას.

ბულგარეთი

კომუნისტების გავლენა ძლიერდება.

ვენა, 26 აპრილი, ბულგარეთის პრესის ცნობით, საპარლამენტო არჩევნებში მილიონი ხმის რიცხვში კომუნისტებმა 200,000 ხმა მიიღეს სტამბოლიისკის პარტიამ 22„ მანდატი მიიღო, კომუნისტებმა—14 და ოპოზიციამ—16.

ინგლისი

ლოკაუტი.

ლონდონი, 26 აპრილი, ინგლისის სამხედრო ფლოტის სამმართველომ გამოაცხადა ლოკაუტი, 30,000 მუშის წინააღმდეგ, რომლებიც მოითხოვენ სამუშაო ხელფასის მომატებას.

ბონარ ლოუს ჯანმრთელობა გაუმჯობესდა.

ბერლინი, 26 აპრილი, ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ბონარ ლოუს ჯანმრთელობა აღდგენილია ახლო მომავალში ის გამოვა პარლამენტში.

პოლონეთი

მათთვის შესაძლებელია...

ვარშავი, 26 აპრილი, გადმოგვცემენ, რომ მთავრობამ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება შეუდგენ ვარშავაში რუსეთის მართლმადიდებელთა ტაძრის დანგრევას.

ავსტრალია

კომუნისტური აღზრდის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 27 აპრ. ავსტრალიიდან იტყობინებიან, რომ ახალ-სამხრეთუელსის იუსტიციის მინისტრმა შეიტანა პარლამენტში კანონის პროექტი საკვირაო კურსების წინააღმდეგ, რომელთაც ხელმძღვანელობს კომუნისტური ახალგაზრდობა. კანონპროექტის მიხედვით, რომლებშიც აღზრდიან ბავშვებს კომუნისტური წესით, დაისჯებიან სამი თვის ციხით ან 50 გ. ს. ჯარიმით.

ამერიკა.

ვერავითარი საარბიტრო სასამართლო ვერ შველის.

ნიუ-იორკი. 26 აპრილი. ლაფოლეტმა თავის პასუხში გარდინგის წინადადებაზე ერთა ლიგის ტრიბუნალში შეერთებულ შტატების შესვლის შესახებ, ბრალსა სდებს საერთაშორისო ბანკირებს ევროპის საქმეებში ამერიკის ჩათრევაში. ლაფოლეტმა განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობამ მთელ რიგ კონცესიებისათვის დახმარებით, მაგალითად ჩესტერისა და სინკლერის კონცესიებისათვის, იმდენი რამ ქნა ომის შესაძლებლობისათვის, რომ ვერავითარი საარბიტრო სასამართლო ვერ გამოასწორებს მდგომარეობას.

ამერიკას განზრახული აქვს შევიდეს საერთაშორისო ტრიბუნალში.

ნიუ-იორკი. 25 აპრილი. პრესის წარმომადგენელთა კრებაზე გარდინგის მიერ წარმოთქმული სიტყვა ადასტურებს ამერიკის მთავრობის განზრახვას მიიღოს მონაწილეობა ერთა-ლიგის ტრიბუნალში, მიუხედავათ რესპუბლიკანულ პარტიის ოპოზიციისა ამ საკითხში.

იტალია.

არ აძლევენ ნებას იდღესასწაულონ 1 მაისი.

რომი. მილანში შრომის პალატის მდივანს პოლიციამ აუკრძალა მუშებისადმი მოწოდების გამოკვრა 1 მაისის სადღესასწაულოთ.

კომუნისტები იდღესასწაულებენ 1 მაისს.

რომი. 26 აპრილი. იტალიის კომუნისტურ პარტიის ალმასკომის დადგენილებით პარტიის წევრები იდღესასწაულებენ 1 მაისს.

ფაშისტურ პარტიის რეორგანიზაცია.

რომი. 26 აპრილი. ფაშისტურ საბჭოს სხდომაზე განხილული იყო საკითხი ფაშისტურ პარტიის რეორგანიზაციის შესახებ. ამ ჟამად პარტიაში ირიცხება 550 000 წევრი. დადგენილია წევრთა მიღების შეწყვეტა და პარტიის გაწმენდა.

რუმინია

ბრძოლა პოლიტიკურ ხასიათს იღებს.

ვენა, 26 აპრილი, რუმინიის მოხელეთა ბრძოლა იღებს პოლიტიკურ ხასიათს

ჩეხო-სლოვაკია

სოციალ-დემოკრატები სიკვდილით დასჯის მომხრენი არიან.

პრაგა. 26 აპრ. ჩეხიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაადგინა ხმა მისცეს სოციალისტურ ორგანიზაციის მიერ შეტანილ წინადადებას წინააღმდეგ სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ.

საზღვრების დაკეტვა.

ვენა. 24 აპრ. უნგრეთის მთავრობამ წინადადება მისცა ჩეხო-სლოვაკიას სასაზღვრო ინცინდენტების გასარჩევათ მოეწყოს სამედიატორო სასამართლო. ამის პასუხათ ჩეხო-სლოვაკიის მთავრობამ დაჰკეტა უნგრეთის საზღვრები.

ჩინეთი

მონარქისტების დამარცხება.

ბერლინი. 24 აპრ. კანტონიდან იუწყებიან, რომ გენერალი კუანკსი დამარცხებულია. მას კვალ და კვალ დევნის სუნ-იატ-სენის ჯარები.

სამხრეთ-სლავია

საბერძნეთის წინააღმდეგ.

ათინა, 26 აპრილი, საბერძნეთის მთავრობის ცნობის მიხედვით, სამხრეთ სლავიამ, ბოლგარეთ-სამხრეთსლავიის ხელშეკრულებაზე ხელისმოწერასთან ერთად, დადო საიდუმლო ხელშეკრულება იტალიასთან, რომელიც მიმართულია საბერძნეთის წინააღმდეგ. ამ ხელშეკრულებაში სამხრეთ სლავია უარს ამბობს ყველა პრეტენზიებზე ადრიატიკის ზღვის შესახებ, რისთვისაც იტალია მოვალეა დაეხმაროს სამხრეთ-სლავიას იარაღით და 100 ჰაეროპლანის მიწოდებით.

უნგრეთი

მუშათა კლასის შევიწროება.

ვენა, 26 აპრილი, პროფკავშირების შესახებ კანონპროექტთან ერთად უნგრეთის მთავრობა იმუშავებს კანონ პროექტს კოოპერატივების შესახებ. კანონ-პროექტის მიზანია მოსპოს მუშათა კოოპერატივების ავტონომია.

ნაციონალისტები 1 მაისის წინააღმდეგი არიან.

ვენა, 26 აპრილი, უნგრეთის ნაციონალისტები მოითხოვენ, რომ მთავრობამ აკრძალოს 1-ლი მაისის დღესასწაული წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან რომ ისინი მიიღებენ ყოველგვარ ზომებს იმის შესახებ, რომ ჩაშალონ 1-ლი მაისის დღესასწაული.

მუშათა მოძრაობას აფერხებენ.

ვენა, 25 აპრილი, უნგრეთის მთავრობამ აკრძალა სასოფლო-სამეურნეო მუშათა ადგილობრივი კავშირების 38 დამფუძნებელი კრება. სოციალ დემოკრატმა სედერმა განაცხადა, რომ მთავრობას განზრახული აქვს სავსებით ჩააქროს სასოფლო-სამეურნეო მუშათა მოძრაობა.

ოსმალეთი.

საფრანგეთის მრეწველებს სურთ დამოუკიდებლათ მორიგდენ.

პარიზი. 26 აპრილი ოსმალეთში არსებულმა 24 სააქციონერო საზოგადოებამ, აირჩია თავისი დელეგაცია ანგორის მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ სადავო საკითხების მოგვარების მიზნით.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

თესვის კამპანია.

მინსკი. 26 აპრილი. თესვის წინასწარი მუშაობა ბელორუსიაში კარგათ მიმდინარეობს. წლევანდელი სათესი მიწების სივრცე გაცილებით აღემატება შარშანდელს.

შორეულ-აღმოსავლეთის ბანკის წლის თავი.

ჩიტა. 25 აპრილი. შორეულ-აღმოსავლეთის ბანკი დღესასწაულობს 26 აპრილს თავის არსებობის 1 წლის თავს. ბანკის თავმჯდომარე გაზეთ „დალნე ვოსტოჩნი პუტში" ამის გამო სწერს: „ბანკის მომავალი მუშაობა იქნება მიმართული შორეულ აღმოსავლეთის საბჭოთა ცენტრთან საქმიანი კავშირის განმტკიცებისაკენ.

სატელეფონო კავშირის განვითარება

როსტოვი. 25 აპრილი. 25 აპრილს მოეწყო სატელეფონო კავშირი როსტოვსა და აღმოსავლეთის ყველა დიდ ქალაქებს შორის.

საჩუქარი 1 მაისისათვის.

სევასტოპოლი. 25 აპრილი. 1 მაისის საჩუქრის სახით სევასტოპოლის საზღვაო ქარხანა ათავებს სასწავლო კრეისერის „კომინტერნის" კაპიტალურ შეკეთებას.

თვით სამღვდელოება ჰკიცხავს ტიხონს.

ოდესა. 26 აპრილი. „ცოცხალი ეკლესიის" საგუბერნიო ყრილობაზე ოდესაში გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რომელიც იწონებს მონასტრების ლიკვიდაციას, რომელნიც წარმოადგენდენ რეაქციის ბუდეს ამავე ყრილობაზე აღიარებულ იქნა, რომ ტიხონის პოლიტიკური მოღვაწეობა იყო აშკარა კონტრ-რევოლიუციონური.

კრასნოიარსკი. 26 აპრილი. კრასნოიარსკის ენესეისის საგუბერნიო სამმართველომ გამოაქვეყნა ღია წერილი, რომელიც ჰკიცხავს პატრიარქ ტიხონს და სამართლიანად სთვლის მის გასამართლებას

მენშევიკების დაშლა.

ომსკი. 25 აპრილი. ომსკის გაზეთ „რაბოჩი პუტში" დაიბეჭდილია 6 ძველი მენშევიკის წერილი, რომელნიც აცხადებენ პარტიიდან გამოსვლის შესახებ და გმობენ მენშევიკურ პარტიის მოღალატურ მუშაობას.

საქართველოს პარტიულ და საბჭოთა პრესის ცენტრალური
კანტორისაგან

კანტორა ამით აცხადებს ყველა დაინტერესებულ პირთა და დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ

1 მაისიდან

განცხადებები მიიღება მხოლოდ ოქროს ვალიუტით, გადახდის დღის არსებულ კურსის მიხედვით.

სტრიქონი ნონ-პარელით—10 კაპ. განმეორებით განცხადებებზე არა ნაკლებ 5-ჯერ—5 პროც. შეღავათი. არა ნაკლებ—10-ჯერ—10 პროც. სათეატრო განცხადებები არა უმეტეს 60 სტრიქონისა, 30 პროც. შეღავათი.

60 სტრიქონზე მეტი—ნორმალური ტარიფით.

სამგლოვიარო არა უმეტეს 30 სტრიქონისა—3 მან.

შრომის წინადადება—50 პროც. შეღავათი. საქმიო განცხადება—არა უმეტეს 5 სტრიქონისა—5 მან. თვეში 5 სტრიქონზე მეტი განცხადებაზე იგივე ფასია, რაც შრომის წინადადებაზე.

დღეს, ა. წ. 29 აპრილს, დილის 11 საათზე,

საქართველოს კ. პ. ც. კ. სააგიტ.-საპროპ. განყოფილების ბინაზე

პრესის დღის (5 მაისი) მომწყობ კომისიის სხდომა.

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1) პერიოდულ პრესის გავრცელება (განაწილების აპარატი);
2) ტირაჟის გადიდება (გაზეთებზე კოლექტიური ხელმოწერა);
3) კონკურსი გაზეთზე ხელმოწერისათვის

მოწვეულნი არიან ყველა გაზეთების რედაქტორები, საგაზეთო ტრესტის, ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობისა და ბეჭდვითი საქმის მუშაკთა კავშირის წარმომადგენლები.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ცარიცინი. 25 აპრილი. ცარიცინის მეტყევეთა კავშირმა სრულიად მოსპო წერა-კითხვის უცოდინარობა თავის წევრთა შორის.

ოქროს სესხი.

ეკატერინბურგი. 25 აპრილი. ეკატერინბურგის გუბერნიაში გაიყიდა მომგებიანი სესხის ობლიგაციები 190 000 ოქროს მანეთის.

ფლოტის და პარტიის შორის კავშირი განმტკიცდა.

მოსკოვი. 20 აპრილი. სრულიად რუსეთის სამხედრო მეზღვაურ კომუნისტების თათბირზე ფლოტის კომისარმა ამხ. ზოფმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში ფლოტის კავშირი პარტიასთან, მუშათა და გლეხთა მასებთან განმტკიცდა. ფლოტის შემადგენლობა შევსებულია და მზადდება ტეხნიკურ შემადგენლობა. ფლოტის პირად შემადგენლობაში აპრილში ითვლებოდა 13 პროც. კომუნისტები და 14 პროც. კომუნისტ ახალგაზრდა. სოციალურ მდგომარეობის მიხედვით—მუშები—39 პროც., გლეხები 65 პროც. საზღვაო უწყების უახლოეს ამოცანად ითვლება ფლოტის აღმშენებლობის 5 წლის პროგრამის შემუშავება.

სატელეგრაფო კაბელის აღდგენა.

ოდესა. 25 აპრილი. ოდესაში ჩამოსულმა ევროპის ტელეგრაფის ინჟინერმა კუკმა განაცხადა, რომ დასრულდა მუშაობა გერმანია-პოლონეთიდან—რუსეთ-პოლონეთის საზღვრებამდე სატელეგრაფო კაბელის გასაყვანად.

ლონდონთან პირდაპირი კავშირის მოწყობა ფერხდება გერმანიასა და პოლონეთს შორის კონცესიების უქონლობით.

კიცხავენ ტიხონს.

ტულა. 26 აპრილი. ტულის გუბერნიის სამღვდელოების ყრილობამ გაკიცხა ყოფ. პატრიარქის ტიხონის მოქმედება.

დახმარება რევოლიუციისათვის მებრძოლებს.

მოსკოვი. 26 აპრილი. კურსკის დელეგატებმა რ. კ. პ. მეთორმეტე ყრილობაზე რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე კომიტეტს გადასცეს ყუთი თორმეტი გირვანქა ოქროს და ვერცხლის ნივთებით, რომელიც კურსკის უპარტიო გლეხებმა და მუშებმა შესწირეს კომიტეტს.

მიუხედავათ ესტონელ მუშების მძიმე მდგომარეობისა, რევოლიუციისათვის მებრძოლთა საერთაშორისო კომიტეტის ესტონეთის სექციამ კომიტეტის სასარგებლოდ შესწირა 10.000 ესტონური მარკა.

ბაქოს მეორე ბაზრობა.

მოსკოვი. 26 აპრილი. 20 მაისს იხსნება ბაქოს მეორე ბაზრობა. ბაზრობისადმი დიდ ინტერესს იჩენენ სპარსული და შუა-აზიელი ვაჭრები. მოელიან, რომ ბაზრობა მეტად დიდი იქნებაო.

უკრაინა.

სასოფლო სამეურნეო მანქანები.

ოდესა 26 აპრილი. ოდესაში მოელიან ჩეხოეთიდან უკრაინისათვის 31 ტრაქტორს, 700 ცხენის და 400 ხელის კულტივატორებს.

მოხალისე ფლოტი ამიერ-კავკასიაში.

ოდესა 26 აპრილი. ოდესაში მოვიდა მოხალისე ფლოტის სამმართველოს ამიერ კავკასიის განყოფილების გამგე, რომელმაც განაცხადა, რომ მოხალისე ფლოტის სამმართველოს განყოფილებები უკვე გაიხსნა ტფილისში, ბაქოში, ბათომში, ჯულფაში, მომავალში გაიხსნება ფოთში, სოხუმში ქუთაისში, ერევანში და აგრეთვე სხვა ქალაქებში

საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების საბჭოს სხდომა

მოსკოვი. 26 აპრილი. 25 აპრილს კავშირთა სახლში შესდგა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების საბჭოს საზეიმო სხდომა. სხდომაში მონაწილეობას იღებდენ რ. კ. პ. მე-12 ყრილობის დელეგატები, პირველი სიტყვა ამხ. რიკოვმა ამხ. ტროცკის მისცა. ტროცკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საჰაერო ფლოტმა დახმარება უნდა გაუწიოს საბჭოთა ხელისუფლებას ძირითად ამოცანების გადაწყვეტაში. შეიძლება ადრე იყოს ჩვენში საჰაერო ფლოტის შექმნა, რომელიც მაღალ კულტურას და ცოდნას მოითხოვს, მაშინ, როდესაც საბჭოთა რუსეთის სივრცე დაფარულია ჭაობებით და ტბებით, არა, არ არის ადრე, ამბობს ამხ. ტროცკი. რუსეთის კულტურის მთელი ისტორია სავსეა ასეთ წინააღმდეგობებით ჩვენი სიღატაკისა და „ბარბაროსობის“ მიუხედავათ ჩვენთან ჩამოდიან გაკვეთილის მისაღებათ ევროპის კომუნისტურ პარტიების წარმომადგენლები, ჩვენს რიგებს უერთდებიან ჩვენი ევროპიელი ძმები. ტროცკი შემდეგ აღნიშნავს სამოქალაქო და სამხედრო ფლოტების აღმშენებლობის მჭიდროთ დაკავშირების საჭიროებას. სამოქალაქო ფლოტი უნდა იქნეს მტკიცე და სანდო სარეზერვო ბაზა სამხედრო, ავიაციისათვის.

ამხ. ტროცკი მოუწოდებს ადგილებიდან მოსულ ამხანაგებს საზოგადოების ქსელის გაფართოებისაკენ და წინადადებას აძლევს მათ ჩვენი ხანგრძლივი დასვენება ავიაციისათვის გამოიყენონ. ამისთვის ჩვენ საკმაო სივრცე, ჰაერი და ინიციატივა გვაქვს.

ამხ. რიკოვმა აღნიშნა, რომ ნამდვილი საჰაერო ფლოტი შექმნილი იქნება მხოლოთ მაშინ, როდესაც ის საკუთარ ქარხნებში აშენდება, როდესაც ჩვენ აღვზრდით პროლეტარულ საკომანდო შემადგენლობას. ავიაციის წარმატება შესაძლებელია მხოლოთ მაშინ, როდესაც მის აშენებისათვის რეგულიარულათ იმუშავებენ ქალაქისა და სოფლის ფართე მასები.

ამხ. კამენევი მოუწოდებდა კრებას არ ჩამორჩენოდენ საბჭოთა რუსეთის მტრებს ჰაეროპლანების სისტემებში, მათ ღირსებებში.

ამხ. პოდვოისკიმ აღნიშნა, საბჭოთა პრესის დამსახურება საჰაერო ფლოტის იდეიების გავრცელებაში. გაზეთებმა უკვე შეკრიბეს 9 ჰაეროპლანის ასაშენებელი სახსარი.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

გაფიცვა ნიუ-იორკის ნავთსადგურში.

ნიუ-იორკი. 26 აპრილი. 23 აპრილს მსოფლიოს ინდუსტრიალური მუშათა კავშირმა გაფიცვა გამოაცხადა ნიუ-იორკის ნავთსადგურში. გაფიცულები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას, სამუშაო დღის შემცირებას და პოლიტიკურ ტუსაღების განთავისუფლებას. 10 000 მეზღვაურმა შესწყვიტეს მუშაობა და მახლობელ დღეებში გაიფიცება გაცილებით მეტი მუშა.

საფრანგეთი

„ვერაგული მოქმედების“ საბაბით.

პარიზი. 25 აპრ. პარიზის ტრანსპორტის მუშათა კავშირმა, რომელიც ემხრობა შრომის საყოველთაო კონფედერაციას, უარი სთქვა პირველი მაისის გაფიცვაში მონაწილეობის მიღებაზე შრომის უნიტარული კონფედერაციის მომხრე ტრანსპორტის მუშათა კავშირის „ვერაგული მოქმედების“ საბაბით. უკანასკნელმა მიმართა რეფორმისტული კავშირის წევრებს წერილით, რომელშიაც მოუწოდებს მათ ყოველ შემთხვევაში უარი სთქვან მიღებულ გადაწყვეტილებაზე, მუშათა მასების ინტერესების გათვალისწინებით.

შემთანხმებლები შლიან გაფიცვას.

პარიზი. 25 აპრილი. რეფორმისტების გაუბედავი მოქმედებისა და მათი ერთიანი ფრონტისადმი მტრული განწყობილების გამო, ფეიქრების გაფიცვას ჩრდილოეთ-საფრანგეთში ემჩნევა რყევა.

უცხოეთის ცხოვრება

გაფიცვები ინგლისში.

ამ ჟამათ ინგლისის ყველა მრეწველის დარგებში იზრდება მუშათა გაფიცვების ტალღები. ინგლისის საზოგადოებრივი აზრის ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს სასოფლო მეურნეობის მუშათა გაფიცვები, რომელიც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მემამულეებს განზრახული აქვთ სამუშაო დღის გადიდება და ხელფასის შემცირება. თავის დროს. 1919 წელს ლოიდ-ჯორჯმა, იმ მოსაზრებით, რომ გაძლიერებია ინგლისის პურის წარმოება, უზრუნველყო სოფლის პროლეტარიატი განსაზღვრული სამუშაო ხელფასით, მემამულეები კი—ხორბლეულობაზე განსაზღვრულ ფასებით.

ამ ჟამათ მთავრობის ეს გარანტიები უკვე გაუქმებულია და მემამულეები და პროლეტარიატი პირის-პირ წარმდგარი არიან თავის ბრძოლაში. სოფლის მემამულეები, სარგებლობენ რა იმ გარემოებით, რომ მუშათა კლასი არ არის სათანადოთ ორგანიზაციებულათ მომზადებული, ცდილობენ სამუშაო ხელფასი დაიყვანონ 25 შილინგამდე კვირაში. მთავრობა ჯერ-ჯერობით სრულიად არ ერევა ამ მოძრაობის საქმეში. ერთად-ერთი ნაბიჯი რაც განზრახული აქვს მას, მდგომარეობს მასში, რათა აიძულოს [illegible] კომპანიები გაადიდონ ხორბლეულობის გადაზიდვის განაკვეთები. დიდ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს საბინაო კრიზისის გამო სამშენებლო მუშათა შორის საგაფიცვო მოძრაობა ამ შემთხვევაში, თუ მეწარმეებმა შეასრულეს თავისი მუქარა სამუშაო ხელფასის საგრძნობლათ შემცირების შესახებ, გაფიცვებში მიიღებს მონაწილეობას ნახევარი მილიონი მუშა. და ბოლოს ძალიან მძლავრია საგაფიცვო მოძრაობა ინგლისის პროლეტარიატის მოწინავე რაზმში—სამთომადნო მუშებში უკანასკნელი გაფიცვა დამთავრდა, როგორც ვიცით, მუშათა დამარცხებით და როგორც მაშინ ფიქრობდენ, ხელფასის დიდი შემცირებით. ამ ჟამათ სამთო-მადნო მუშების აზრით აღნიშნულ მრეწველობაში მდგომარეობა იმდენათ გაუმჯობესებულია, რომ თამამათ შეიძლება დაუბრუნდენ ძველ სამუშაო ხელფასს. მაღაროების პატრონები, ცხადია, ეწინააღმდეგებიან ამ მოთხოვნილებას და ახლო მომავალში მოსალოდნელია კონფლიქტი.

პირველი მაისისათვის

დადგენილება № 10.

ტფილისის აღმასკომისა 28 აპრილს 1923 წელს.

შრომის საერთაშორისო დღესასწაულის—1 მაისის საზეიმო ჩატარების მიზნით, ტფილისის აღმასკომი ადგენს:

1. ევალება ყველა სახლების პატრონებს, სახლების კომენდანტებს და მდგმურებს რომ 1 მაისს სახლების ფასადი და ქუჩებზე გამოსული ბინები მორთონ ხალიჩებით, გირლიანდებით და სხვა.

2. ყველა სახლებზე უნდა იქნეს გადმოკიდული წითელი დროშა.

3. დაწესებულებები, წარმოებები და შეძლებისა და გვარად კერძო სახლებიც იქნენ 1 მაისს გაჩირაღდნებული.

აღმასკომის თავმჯდომარე: **სუხიშვილი.**
საქმეთა მმართველი, პრეზიდიუმის წევრი: **მეხხი.**

პირველ მაისის დღესასწაულის მომწყობი კომისია მოაგონებს ყველა ორგანიზაციებს, რომ გაავდრების შემთხვევაში ზეიმობის წესი იცვლება, საღამოს კი სარაიონო, ადგილობრივ და სამხედრო კლუბებში გამართული იქნება თვითმოქმედების საღამოები.

საერთო ზეიმობა გადადებულ იქნება პირველ უქმე დღემდე.

რაიონებში მიტინგების გასამართავათ გაწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები:

1 რაიონი

ორჯონიკიძე, ეგოროვი, მახარაძე, ქართველიშვილი, ბაშკაიძე, არაკელ, ქავთარაძე ლადო, გოლდბაუმი.

2 რაიონი

ორახელაშვილი, ელიავა, ივანოვ-კავკაზსკი, სუტირინი, ვირაპი, ოკუჯავა ნიკოლოზ, მედვედევი.

3 რაიონი

მიასნიკოვი, ვრაჩევი, კასიანი, ათარბეკოვი, ტალიბლი, აბრამოვი, ტოროშელიძე, ვართაპეტოვი.

4 რაიონი

გინზბურგი, ხ. ხიანი მიხ., რუბენი, ბახუტოვი, ტაკოევი, ვინოგრადოვი.

1 მაისის დღესასწაულის მომწყობ კომისიის თავმჯდომარე: **მ. ეხხენი.**

საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის 1 მაისის დღესასწაული

დღესასწაულის წესრიგი:

დილის 9 საათზე.

ყველა მუშათა ორგანიზაციები და სამხედრო ნაწილები ორკესტრებით, მომღერალ—გუნდებით და სხვ. იკრიბებიან თავიანთ რაიონებში და მიემართებიან, **ხუდადოვის ტყეში** სადაც **დილის 11 საათზე გაიმართება მიტინგი,**

შუადღის 12 საათზე. საერთო საუზმე,

მომღერალ გუნდთა, ორკესტრების, პოლიტიკ ტიკინები და სხვ. გამოსვლები.

დღის 2 საათზე

სასპორტო სათამაშოები შემდეგი პროგრამით:

1 განყოფილება: თავისუფალი მოძრაობანი—მონაწილეობენ კომანდები: კავკას. კურსანთა მე-2 სკოლა, 21 სკოლა. 9-ე პოლკი და „სპარტაკისა საზოგადოება და ბავშვთა ჯგუფი.

2-ე განყოფილება: გვერდით მდებარე პლაცზე.

ა) მძიმე ატლეტიკა—მუშათა ორგანიზაც. სანიმუშო ვარჯიშ.

ბ) ბოქსი. გ) ფრანგული ჭიდაობა საზოგადოებიდან თავისუფალ მსურველთა მონაწილეობით.

დ) ფარიკაობა—21 სკოლა, კავკ. კურს. 2-ე სკოლა, სპარტაკი და სხვ.

ე) ხიშტით ბრძოლა—ამიერ-კავკ. საგანგებო კომისიის ნნ დივიზიის სანიმუშო ვარჯიში.

3-ე განყოფილება:

1) სირბილი ფეხებ შეკრ. 6 კაცი—
2) ბაწრის გადაჭიმვა 10 კ,
3) სირბილ სისწრაფეზე—3 კაცი.
4. სირბილი ტომარით—3 კაცი.
5. სპილოების ბრძოლა—6 კაცი.
6) ცხენების ჭიდაობა—4 კაცი.

სამხედრო ნაწილი:

სასწავლო პოლკი, მე-9 პოლკი, რკ. გზის მე-10 პოლკი, სანიტ. ბატალ., საქართვ. შერეული სკოლა, 21 სკოლა, კავკ. კურს. მე 2 სკოლა და ყველა მუშათა ორგანიზაციებიდან,

დღის 4 საათზე.

მასიური წარმოდგენები.

მე 2 პუნქტში.

1) საერთაშორისო მიმოხილვა სამხედრო სასწავლებელთა და ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის მონაწილეობით.

ჯგუფები- ანტანტა „ფაშიზმი, რური და სხვ აპოთეოზი

2) რევოლიუციის ეტაპები. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კლუბის, რკინის გზის 9 და 10-ე პოლკების სასწავლო კადრების, კავ ბრიგადის, ტყვეულობის ქარხნების მუშათა და კავკასიის ცალკე არმიის საბავშვო სახლის მონაწილეობით.

ა) სურათი—თვითმპყრობელობის ჩამოგდება.

ბ) სურათი ოქტომბრის რევოლიუცია.

გ) სურ. შიმშილი.

დ) სურ. აპოთეოზი.

საღამოს 7 საათზე.

კინო—სეანსები.

1 მაისის დღესასწაულის მომწყობი ცენტრალური კომისია.

მარშრუტი რაიონების მსვლელობისა 1 მაისის დღესასწაულის ადგილისაკენ

1 რაიონი—თავის მოყრა—1 რაიკომთან მსვლელობა—ჩერქეზიშვილის ქ, პავლოვის ქ. და ხუდადოვის ტყე.

2 რაიონი—თავის მოყრა—ჯაფარიძის მოედანზე. მსვლელობა—ჩერქეზიშვილის ქ, პავლოვის ქ. და ხუდადოვის ტყე.

3 რაიონი—თავის მოყრა—კახეთის მოედანზე. მსვლელობა—ციციანოვის დაღმართი, 19 თებერვლის ქუჩა, მიხეილის პროსპექტი, კირკის შესახვევი, ჩერქეზიშვილის ქ., პავლოვის ქ. და ხუდადოვის ტყე.

4 რაიონი—თავის მოყრა—რაიკომთან (რუსთაველის 22) მსვლელობა—ვერის ხიდი, კირკის ქუჩა, ჩერქეზიშვილის ქუჩა, პავლოვის ქუჩა და ხუდადოვის ტყე.

რაიონებში მიტინგები არ გაიმართება.

პირველი მაისის დღესასწაულის მომწყობი ცენტრალური კომისია.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ბიბლიოთეკები.

ბათომი. 27 აპრილი. პროფკავშირის ბიბლიოთეკებისათვის წიგნების შესაძენად მოსკოვში პროფკავშირმა გადასდო 100 მილ. მანეთი.

სამკურნალო დახმარება დაზღვეულთათვის.

ბათომი. 27 აპრილი. დაზღვეულთათვის სამკურნალო დახმარების ქვეგანყოფილების ცნობებით, სამკურნალო დახმარების განყოფილებამ აღმოუჩინა სამკურნალო დახმარება 17.500-დე კაცს. მათ შორის 3.100-ზე ვენერიულ და კანის სნეულობით ავადმყოფებია. ციებით—1.560 კაცი, ვენერიულ სნეულობით, შედარებით წარსულ თვესთან, 1,000 კაცზე მეტია. მარტის თვეში აღნიშნულია ყველა განყოფილებებში ავადმყოფთა რიცხვის გადიდება. მარტის თვეში დაზღვეულთა ქვეგანყოფილებამ შეასრულა ბათომის ყველა რეცეპტების 50 პროცენტი, რაც შეადგენს დღეში 400 რეცეპტს.

ბათომი. 27 აპრილი. 1 მაისიდან ბათომში იხსნება აჭარის ოლიმპიადა, რომელიც ეწყობა კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის საოლქო კომიტეტის მიერ.

თეატრი ქობულეთში.

ბათომი. 28 აპრილი. ქობულეთში იხსნება საქალაქო თეატრი.

მიწის რეფორმა.

ბათომი. 28 აპრილი. აპრილის განმავლობაში მიწის ზომის ჰიდრო-ტეხნიკურმა სექციამ შეასრულა შემდეგი მუშაობა: განაწილებულია უმიწა-წყლო გლეხთა შორის მიწის ნაკვეთები; დამთავრებულია მიწის გაზომვა ზოგიერთ რაიონებში, სადაც გლეხთა შორის ნაწილდებოდა მიწები. მიწის ნაკვეთების განაწილების მხრივ სექციის მორიგი ამოცანა იყო ბეგების მამულების განაწილება მცირე მიწის მქონეთა და სრულიად უმიწაწყლო გლეხთა შორის, ე. ი. სწარმოებდა ის მუშაობა, რომელიც დაიწყო მარტში. მუშაობა სწარმოებდა ბათომის მაზრაში, ორთა-ბათომის და კახაბერის თემში, აჭარის მაზრაში და გონიოს თემში. ორთა-ბათომის თემში განაწილებულია უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონეთა 420 ოჯახს შორის 510 დეს. მიწა. გონიოს თემში განაწილებულია 307 დეს. მიწა და 50 დეს. ტყე. სულ დაკმაყოფილებულია 265 კომლი. კაპანდიბის თემში ჩამორთმეულ მიწიდგან (200 დეს.-დე) განაწილდა 60 დეს. ამასთან განაწილება ხდებოდა ნაკვეთების ცალკე ერთეულებათ დაყოფით.

პარტიული ცხოვრება

ამა თვის 29-დან ტფილისის საგანგებო დანიშნულების ნაწილების

უფშემადგენლობა იწყებს მეცადინეობას 1-ლ და მე-2 რიგის და სამხედრო მომზადების ყველა ხარისხების მილიციის პარტიულ ამხანაგებთან, ამასთან ამიერ-კავკასიის კომ. უნივერსიტეტის მსმენელებთან და კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის წევრებთან დილის 7—9 ს.-დე, დანარჩენებს კი 8 ნახ.—12 ს-დე.

შესაკრები პუნქტი 1-ლ რაიკომისთვის ჩერქეზიშვილის და იურევის ქ. კუთხე, მე-2-ე რაიკომისთვის კირკის და მიხაილოვის კუთხე, გერმანულ კირკის მოედანზე, მე 3-ე რაიკომისა და მე-5-ე ქვერაიონისთვის ყოფილ სამხედრო სობოროს ეზო.

ტფ. კომიტ. აცხადებს რა ზემოაღნიშნულს, წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ამხანაგებს მოვიდნენ მეცადინეობაზე ვინც არ გამოცხადდება, იქნება მიცემული პასუხისგებაში პარტდისციპლინის წესით

საქართველოს კომ. პარ. ტფილისის კომიტეტი

წინადადებას აძლევს ყველა პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკებს, ვინც იღებს განაკვეთის ქსელის მე-17-ე ხარისხის ერთნახევარის მეტ ჯამაგირს, გატარდნენ რეგისტრაციაში სამი დღის განმავლობაში ტფ. კომიტეტის საფინანსო განყოფილებაში დღის 9—3-დე.

ვინც არ გამოცხადდება, პასუხის გებაში იქნება მიცემული პარტ დისციპლინის წესით.

ტფ. კომ. მდივნის მაგიერ ვ. ივანოვი.

სამხრეთ-ოსეთის საოლქო პარტკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო და პოლიტგანათლების განყოფილების მოხსენებიდან მარტში

(დასასრული იხ. „კომ.“ № 94)

აგრარული რეფორმა.

მიწის საკითხის მოსაგვარებლად საოლქო ცენტრმა რაიონებში დაგზავნა 30-დე საუკეთესო პარტმუშაკები, რომლების ხელმძღვანელობით მიწის რეფორმა სასურველათ ჩატარდა. ჩამორთმეულია და დანაწილებულია 800 დესიატინა მიწა.

რუსეთის კომუნისტური პარტიის 25 წლის თავი.

დღესასწაულის დღეს 14 მარტს შესდგა საზეიმო სხდომა პარტიულ

თეზისები 1923 წლის 1 მაისისათვის

I.

1. პირველი მაისის დღესასწაულს წელს საერთაშორისო პროლეტარიატი მეტად რთულ პირობებში ხვდება. უმუშევრება, რომელიც გამოწვეულია კაპიტალისტური მეურნეობის უმაგალითო კრიზისით, რაც შედეგად მოჰყვა ხანგრძლივ იმპერიალისტურ ომს, რომელმაც გაანადგურა ფულის მეურნეობა და დაარღვია საერთაშორისო ბაზრის წესიერი მოქმედება, ამ უკანასკნელ წლებში არა თუ არ შემცირდა საერთაშორისო მასშტაბით, არამედ კიდევ უფრო გამწვავდა. მუშების და მუშა-ქალების მრავალრიცხოვანი მასები ჩაცვივდნენ არნახულ სიღატაკეში მთელი მისი საშინელი შედეგებით. კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზიას არ შეუძლია დასთმოს თავისი მოგების თუნდაც მცირე ნაწილი იმისათვის, რათა შეანელოს უმუშევრობა.

2. პროლეტარული მასები, რომელსაც ხელმძღვანელობდენ ომამდე და ომის დროს სოციალ-დემოკრატები, აღმოჩნდენ დაქსაქსულნი სწორედ იმ მომენტში, როდესაც საჭირო და შესაძლებელი იყო სოციალურ ინტერესების გამწვავების გამოყენება კაპიტალიზმის დასამხობად ევროპის ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. კომუნისტურ ინტერნაციონალს, რომელიც მაშინ ის იყო ისახებოდა, არ შეეძლო მუშათა კლასის პირველი გამოსვლები, მისი პირველი კლასიური აჯანყება დიქტატურისათვის დაეყვანა გამარჯვებამდე. მუშათა კლასის პირველი გამოსვლების დამარცხებამ სხვადასხვა ქვეყნებში, მასიურ უმუშევრობისა და სამეწველო კრიზისთან ერთად საშუალება მისცა კაპიტალისტებს გაერთიანებულიყვნენ ერთიანი ფრონტით გამოსულიყვნენ მუშათა კლასის წინააღმდეგ და ჩაეჭრათ ბევრ ქვეყნებში მუშათა მოძრაობა, განადგურებით მუშათა კლასის ორგანიზაციები.

3. ბურჟუაზია არ კმაყოფილდება ჩაგვრის ძველად შექმნილ ფორმებით, მისი საპოლიციო, სამხედრო, ადმინისტრატიული, სასამართლო აპარატი, პარლამენტის მეთაურობით, საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რათა დაიცვას ბურჟუაზიის დიქტატურა. თავს იჩენს ბურჟუაზიის ორგანიზაციის ახალი ფორმა—**ფაშიზმი,** რომლისათვისაც ძალიან ვიწროა კაპიტალისტურ სახელმწიფოს მიერ გამომუშავებული ბურჟუაზიული უფლების ნორმები. ფაშიზმი აერთიანებს ყველაზე უფრო რეაქციონერ, მუშათა კლასის ყველაზე უფრო მტრულ ელემენტებს პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლის საწარმოებლად. ფაშიზმი ფანტავს მასების ყველა კონსტიტუციონურ ილუზიებს და აქცევს კონსტიტუციონურ სახელმწიფოს ბურჟუაზიულ დემოკრატიას უბრალო ფიქციად, კლასთა ძალადობის დასაფარავად. ფაშიზმი ნიშნავს მომაკვდავ ბურჟუაზიის უკანასკნელ კრუნჩხვას. ფაშიზმი ამავე დროს არის სასინჯი, რომელზედაც პროლეტარიატი სცდის სხვა და სხვა პარტიების ერთგულებას პროლეტარულ საქმისადმი, ფაშიზმმა დაგვანახვა, რომ პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბოლომდე და გულწრფელად იბრძვის მხოლოდ კომუნისტური ინტერნაციონალი. ფაშიზმმა დაამტკიცა, რომ 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალები სიტყვით ფაშიზმის მტრები, საქმით საუკეთესო დახმარებას უწევენ მას.

4. გამწვავებულმა კლასთა ბრძოლამ, რომელმაც უკანასკნელ ხანებში მიიღო მუშათა კლასის ბურჟუაზიასთან სისხლის ღვრელ შეტაკების ხასიათი, გამოააშკარავა ყოველგვარ საშუალო, მერყევ ჯგუფების და პარტიების, როგორც მ. გ. 2 ნახ. ინტერნაციონალის უძლურება და მერყეობა როგორც მუშათა კლასისადმი, რომელიც იბრძვის პროლეტარიატის დიქტატურისათვის, ისე კომუნისტურ ინტერნაციონალისადმი, და აგრეთვე მისი მტრების მიმართ, რომელნიც წინააღმდეგნი არიან პროლეტარიატის დიქტატურის. დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატების, 2 ნახ. ინტერნაციონალის პარტიები ხცდილობდენ დაეკავებიათ ბრძოლაში საშუალო პოზიცია. ბრძოლამ აიძულა პროლეტარიატის ყველაზე უფრო რევოლიუციონური ელემენტები შესულიყვნენ კომუნისტურ ინტერნაციონალის რიგებში. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ახლო მომავალში ხდება 2 ნახ. ინტერნაციონალის ნაშთების შეერთება შეიდემანელებიან, როზა ლიუქსემბურგის და კარლ ლიბკნეხტის მკვლელებთან. დგება უფრო გაბედულ სამხედრო მოქმედებათა მომენტი. სულ უფრო და უფრო ეწყობა საბრძოლველად ყველა ქვეყნის ბურჟუაზია მუშათა კლასის წინააღმდეგ; სულ უფრო მკაფიოდ და მძლავრად ირაზმება კომუნისტურ პარტიის რიგებში პროლეტარიატი ყველა ქვეყნებში ხოლო მუშათა კლასის გამცემლები აგროვებენ თავის რაზმებს იმისათვის, რათა გადამწყვეტ მომენტში უღალატონ მუშათა კლასს და გადავიდენ მის კლასიურ მტრების მხარეზე და ხელი შეუშალონ მუშათა კლასის ბრძოლას.

5. რურის დაკავება არის ყველაზე აშკარა გამოხატულება კაპიტალის შემოტევის, საფრანგეთის ბანკირები და მრეწველები თვალთ-მაქცურად აცხადებდნენ, რომ ისინი არ გამოვლენ გერმანიის მუშათა კლასის წინააღმდეგ, მაგრამ უკვე ათეული მუშები დაიღუპნენ სისხლის მღვრელ შეტაკებებში რურის ოკუპანტებთან მუშათა ორგანიზაციები განადგურდენ, უმუშევართა და პროფკავშირთა კასები კონფისკაციით ჩამოერთვათ, გაზეთები დაიხურენ, ასეული და ათასეული რევოლიუციონური მუშები ჩაყრილნი არიან ციხეებში, ხოლო ყველა ამის შემდეგ სწარმოებს ვაჭრობა და მოლაპარაკება საფრანგეთის და გერმანიის კაპიტალისტებს შორის, ვაჭრობა მოგების დასაყოფად, მუშათა კლასის სისხლით და ოფლით შექმნილ ზედმეტი ღირებულების დასანაწილებლად. რურის დაკავება მოასწავებს მუშათა კლასის მდგომარეობის გაუარესებას არა მარტო გერმანიაში, არამედ სხვა ქვეყნებშიაც. იგი მოასწავებს ევროპის კაპიტალისტურ მეურნეობის კიდევ უფრო მეტ დაშლას. რურის ოლქის ოკუპაციას და გერმანიის მთელი ეკონომიური ცხოვრების მოშლას არ შეეძლო არ გამოეწვია მუშათა მასების მდგომარეობის გაუარესება როგორც თვით გერმანიაში, ისე მის მეზობელ კაპიტალისტურ ქვეყნებში. სამთომადნო მუშების გაფიცვა ბელგიაში, გაფიცვები საფრანგეთში ამტკიცებენ იმას, რომ ამ გამარჯვებულ ქვეყნების მთავრობები ისევე დაუზოგავად ავიწროვებენ ბელგიელ და ფრანგ მუშებს, როგორც დაუზოგავად ხვრეტავენ ისინი გერმანიის პროლეტარიატს. რურის დაკავება მოასწავებს საფრანგეთის არმიის დაშლას და გარევოლიუციონერებას, რომელი არმიაც იძულებულია ყოველ დღე შეასრულოს ჯალათის როლი გერმანიის მუშების მიმართ. ხშირდება საფრანგეთის ჯარის-კაცების უარი ჯალათის როლის შესრულებაზე, ძლიერდება რევოლიუციონური პროპაგანდა.

6. ყველა ქვეყნების კაპიტალისტებმა აამუშავეს ყველა მათ განკარგულებაში არსებული საშუალებანი, რათა დაქსაქსონ სხვა და სხვა ქვეყნების პროლეტარიატი, რათა ჩაჰკლან მათი მოძრაობა. ფაშისტების გამარჯვება იტალიაში, ფაშისტების გაცხოველებული მუშაობა გერმანიაში, ფაშისტურ ორგანიზაციების დაარსება პოლონეთში და სხვა ქვეყნებში, მუშათა მასიური ლოკაუტები ინგლისში, შვეციაში, ნორვეგიაში, საფრანგეთში, ამერიკაში, გააფთრებული ბრძოლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ — ყველაფერმა ამან დაანახვა პროლეტარიატს, რომ მთელი მსოფლიოს პროლეტარულ არმიის ცალკე რაზმების დაქსაქსული ბრძოლა არ შეიძლება დაგვირგვინდეს გამარჯვებით. კაპიტალის შეტევამ გააძლიერა მუშათა კლასის ლტოლვა ერთიანი ფრონტისაკენ. რევოლიუციონური პროლეტარიატის ერთიანი ფრონტი ეწყობა ყველა ქვეყნებში არა 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების წინამძღოლთა გადაწყვეტილებით, არა ყვითელი პროფკავშირთა გადაწყვეტილებით, რომელნიც იბრძვიან ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ,—რევოლიუციონურ პროლეტარიატის სხვა და სხვა რაზმების ერთიანი ფრონტი ეწყობა მუშათა კლასის ბრძოლის აუცილებლობის წყალობით, კაპიტალის შემოტევის წყალობით, კლასიური ურთიერთობის სრული გაშიშვლების და სიცხადის გამო და კომინტერნის შეურყეველ მეცადინეობის წყალობით, რომლის მიზანია რევოლიუციონური პროლეტარიატის გაერთიანება. აი რატომ ილტვის უპარტიო მუშები და მუშები მენშევიკურ და სხვა კომუნისტურ ორგანიზაციებიდან კომუნისტურ პარტიაში; აი ამიტომ რუსეთის კომპარტიის 25 წლის არსებობის თავზე ათეული ათასმა უპარტიო და მენშევიკურ და ესერების ორგანიზაციების მუშებმა შეიტანეს განცხადება კომუნისტურ პარტიაში შესვლის შესახებ. აი ამიტომ უკანასკნელ ხანებში 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების პარტიებიდან მუშები გადადიან კომუნისტურ ინტერნაციონალში; აი ამიტომ პროფკავშირები ილტვიან პროფინტერნისაკენ, რომელიც აწარმოებს შეურიგებელ კლასთა ბრძოლას; აი ამიტომ იზრდება და მტკიცდება ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი მთელ მსოფლიოში და მას უერთდებიან რევოლიუციონურ ახალგაზრდობის ახალ-ახალი ორგანიზაციები. აი ამიტომ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მოძრაობა გერმანიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში სწარმოებს მარქსიზმის დროშის ქვეშ. **და 1 მაისის დღეს ჩვენ განსაკუთრებულად უხვამთ ხაზს ერთიან ფრონტის შექმნის აუცილებლობას პროლეტარული საქმის წარმატებით დასაგვირგვინებლად, მთელ მსოფლიოში კაპიტალიზმის ძალაუფლების დასამხობად,** ვინაიდან დიდი საქმეების დასაბოლავებლად, კლასთა ბრძოლაში გამარჯვების მოსაპოვებლად ჩვენთვის საჭირო მჭიდრო კავშირი, უდიდესი მთლიანობა ჩვენ რიგებში.

7. ჩვენის ლოზუნგს: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“, ჩვენ ამოცანას საერთაშორისო სოლიდარობის შესახებ, არასოდეს არ მოუპოვებია ისეთი ნათელი გამოხატულება, როგორც დღევანდელ მომენტში. საერთაშორისო სოლიდარობა გახდა ფაქტი, პროლეტარულ ბრძოლის უფრო და უფრო რევოლიუციონური, უფრო და უფრო ძლიერი საშუალება. დამშეულ რუსეთს ეხმარებოდეს თავისი მცირედი ხელფასიდან ყველა ქვეყნის მუშები, რომელთაც მოაწყვეს საერთაშორისო მუშათა დახმარება. იმავე თავდადებით უწევს დახმარებას რუსეთის პროლეტარიატი რურის მუშებს, რომელნიც განიცდიან შიმშილს გერმანელ და ფრანგ კაპიტალისტების წყალობით. ყველა ქვეყნებში ჩაყრილნი არიან ციხეებში მუშათა კლასის მოწინავე მებრძოლნი. ხდება მუშების მუხანათურად მკვლელობა. მუშათა კლასმა მოაწყო საერთაშორისო დახმარების ორგანიზაცია, რომელიც ზრუნავს დაპატიმრებულებზე და მათ ოჯახებზე. კონფერენციები ესსენში და ფრანკფურტში, სადაც სხვადასხვა ქვეყნების რევოლიუციონური მუშები იმუშავებდნენ მოქმედების საერთო ტაქტიკას ბურჟუაზიის შემოტევის წინააღმდეგ—არის ყველა ქვეყნის მუშათა კლასის კლასიური სოლიდარობის გამოხატულება. 1 მაისის დღეს ჩვენ განსაკუთრებით უნდა გაუსვათ ხაზი ამ საერთაშორისო დახმარების უდიდეს მნიშვნელობას პროლეტარულ ბრძოლის ყველა შემთხვევაში. ყველა მის მომენტებში.

8. როგორც ყოველთვის წინა წლებში, ჩვენ ვაცხადებთ ომს ომის წინააღმდეგ, ჩვენი წითელი არმიის მინიმალურად შემცირება და ჩვენი ცდა შეიარაღების შემცირებისა; ამისათვის სპეციალურ კონფერენციების მოწვევა, საბჭოთა მთავრობის გამოსვლები საერთაშორისო კონფერენციებზე გენუაში, ჰააგაში, ლოზანაში, მრავალი ჩვენი მიმართვა კაპიტალისტურ ქვეყნების მთავრობებისადმი, უმტკიცებენ მთელი ქვეყნის მშრომელთ, რომ საბჭოთა რესპუბლიკა, კომუნისტური პარტია წინააღმდეგია ომის. 2 და 2 ნახევარ ინტერნაციონალების სოციალისტების და ყვითელ პროფკავშირების მიერ ჰააგაში მოწვეულ კონფერენციაზე, სადაც მათ წარმომადგენლების გარდა იყვენ მღვდლები და გრაფები, კომუნისტური ინტერნაციონალის წარმომადგენლებს შექონდათ გაბედული წინადადებანი ომის წინააღმდეგ. ყველა დანარჩენი პარტიები და ორგანიზაციები მხოლოდ გარეგნულად ამტკიცებენ, რომ ისინი წინააღმდეგნი არიან ომის, ხოლო საქმით კი ხელ-ფეხს უბორკავენ პროლეტარიატს თავიანთი დადგენილებებით და უსპობენ საშვალებას იბრძოლოს ომის ნამდვილი საფრთხის წინააღმდეგ. ჩვენ არა ვართ მშვიდობიანი პაციფისტები და როდესაც დღეს რურის დაკავება, ფაშისტების გამოსვლები, კაპიტალისტური ქვეყნების გაფაციცებული შეიარაღება ამზადებენ ახალ სისხლის ღვრას და ახალ ომებს, ჩვენ ვიუბნებით მთელი ქვეყნის მუშათა კლასს: შეიარაღდით, მზად იყავით, რათა ომის მუქარაზე უპასუხოთ კლასთა ომით თქვენი კლასიური მტრების წინააღმდეგ; მზად იყავით, რათა ომის დროს მიმართოთ იარაღი კაპიტალისტების წინააღმდეგ. აი ამიტომ „ომი ომის წინააღმდეგ“ ლოზუნგთან ერთად 1 მაისს ჩვენ ვაყენებთ მოთხოვნილებას მუშათა კლასის შეიარაღების შესახებ. საბჭოთა რესპუბლიკაში ჩვენ ასეთი შეიარაღება მოვახდინეთ წითელი არმიის სახით, რომელიც ჩვენ ყოველმხრივ უნდა განვამტკიცოთ, როგორც პროლეტარულ რევოლიუციის ინტერესების დამცველი ძალა.

9. რუსეთის კომპარტია არის ერთ-ერთი რაზმი საერთაშორისო პროლეტარული არმიისა. თავის მხრებით ნახევარი საუკუნის განმავლობაში მან ატარა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის სიმძიმე, დაამხო იგი, დაამხო კაპიტალისტების და მემამულეების ძალა-უფლება და მუშათა და გლეხთა კავშირის დახმარებით დაარსა პირველი მსოფლიოში საბჭოთა სახელმწიფო. მან განამტკიცა რესპუბლიკის სამხედრო და სამეურნეო კავშირი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების პოლიტიკური კავშირით, რომელსაც ის ამაგრებს, მისცა რა მან ფართო გასაქანი ამ რესპუბლიკების ეროვნულ კულტურას და ეროვნულ თავისებურებებს. რუსეთის კომპარტია არა სიტყვით, არამედ საქმით აერთიანებს ყველა ქვეყნების ერებს, სპობს ეროვნულ შუღლს, ამზადებს ნიადაგს მთელი მსოფლიოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისათვის და სპობს ომებს ნაციონალურ ინტერესებისათვის. რუსეთის კომპარტია და მის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი არის საფუძველი ხალხთა ნამდვილი ძმობისა. და 1 მაისის დღეს ჩვენ განსაკუთრებული სიამაყით და სიხარულით ხაზს ვუსვამთ პროლეტარულ რევოლიუციის და საბჭოთა რესპუბლიკის ამ დიდ როლს.

II

პროლეტარულ რევოლიუციის მთელ მანძილზე რუსეთის კომპარტია აყენებდა მუშათა კლასის წინაშე გლეხთა მოძრაობისათვის დახმარების გაწევას, რომელი მოძრაობაც მიმართული იყო მემამულეთა ჩაგვრის, ბატონ-ყმურ მეურნეობის ნაშთების და გლეხთა უუფლებობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მუშათა კლასის პარტია. მხარს უჭერდა გლეხთა მასების უკიდურეს მოთხოვნილებებს. და ერთად ერთ პარტიად, რომელმაც არა სიტყვით, არამედ საქმით დააკმაყოფილა გლეხობის მოთხოვნილება მიწაზე პროლეტარულ რევოლიუციის ხანაში, აღმოჩნდა ჩვენი პარტია. ყველა დანარჩენი პარტიები, რომელნიც სიტყვით აყენებდენ თავიანთ პროგრამებსა და ლოზუნგებში გლეხთა მოთხოვნილებებს, საქმით, როდესაც საჭირო იყო ამ მოთხოვნილებათა ცხოვრებაში გატარება, უთანხმდებოდენ გლეხობის საუკუნოებრივ მტრებს—მსხვილ ბურჟუაზიას და მემამულეებს და ყოველი ძალღონით ეწინააღმდეგებოდენ მიწის რევოლიუციის განხორციელებას. ოქტომბრის რევოლიუცია იყო გლეხთა და პროლეტარიატის შეთანხმების ის ფორმა, რომელმაც დაამყარა მუშათა,

და პროფესიონალურ ორგანიზაციების, რომელსაც დაესწრო 200 კაცამდე. სხდომაზე გაკეთებულ იქნა მოხსენებები პარტიის და მის საუკეთესო მოღვაწეთა ისტორიიდან.

პარიზის კომუნის დღე.

ეს დღე დიდი ზეიმით ჩატარდა; მოწყობილ იქნა ალლუმი და მიტინგი, სადაც ორატორები ოსურ და ქართულ ენაზე ახასიათებდენ პარიზის პროლეტარიატის რევოლიუციონურ გამოსვლას 1871 წელში, აგრეთვე მუშა-კომუნისტების აუტანელი მდგომარეობა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, იმპერიალისტების რეპრესიებს მათ წინააღმდეგ და სხვ. ბურჟუაზიის მიერ დევნილი კომუნისტების სასარგებლოთ ცხინვალში მოწყობილ იქნა წარმოდგენები რუსულ და ოსურ ენებზე. შემოსავალი გადაეგზავნა ს. ქ. პ. ცეკას.

ბეჭდვითი ორგანოების საჭიროება.

ოლქში არ არის ბეჭდვითი ორგანო სტამბის მოწყობილების უქონლობის გამო (მანქანა შეძენილია, მაგრამ მიტანილი არ არის ტფილისიდან). ვღებულობთ გაზეთებს ტფილისიდან რუსულ და ქართულ ენებზე.

მუშაობის მომავალი გეგმა.

განზრახულია ანტისარწმუნოებრივ კამპანიის გაგრძელება, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების გახსნა. პოლიტგანათლების და სასოფლო მეურნეობის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლის გახსნა ცხინვალში და სხვა.

ვ.

თელავის მაზრა

ანტი-რელიგიური, თესვის და საჰაერო ფლოტის კამპანიების ჩატარება.

აპრილის განმავლობაში პარტკომის მთავარ ამოცანას შეადგენდა ანტირელიგიური კომპანიის სასურველათ ჩატარება, რომელიც დაიწყო 1-ლ აპრილს და გაგრძელდა 15 აპრილამდის ყველა თემებში იმართებოდა მიტინგები, სადაც გლეხკაცობა მოითხოვდა ეკლესიების დახურვას. კამპანიის ჩატარებაში კომკავშირი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა; მაზრაში დაიხურა 70 მდე ეკლესია, რომლის გამოყენება პარტკომს და კომკავშირს სურთ კლუბებისათვის. პარტკომის მიერ უკვე გადადგმულია ნაბიჯები ამ საქმის მოსაგვარებლათ, მზადდება პირობები, რომ 1-ლი მაისისათვის მაზრაში გაიხსნას 11-ი კლუბი და ქოხ-სამკითხველოები. პარტკომის მიერ ჩატარებული იქნა თესვის კამპანია, რომლის გატარების დროს ყველა თემებში იმართებოდა მიტინგები. საჰაერო ფლოტის კამპანიის ჩატარების ინიციატივა აიღო პარტკომის მდივანმა ამხ. ლობჟანიძემ, ამ მიზნით პარტკომის შენობაში მოწვეული იქნა თათბირი საბჭოთა დაწესებულებების გამგეების, სადაც მოხსენებით ფლოტის მნიშვნელობის შესახებ გამოვიდა ამხ. ლობჟანიძე. მოხსენების შემდეგ განყოფილების გამგეების მიერ ფლოტის სასარგებლოდ განსაზღვრული თანხა გადაიდვა. ამავე მიზნით გაიმართა წარმოდგენა მიტინგით და ყულაბებით ფულის მოკრეფა, კამპანიამ გამოძახილი იპოვა მაზრის გლეხობაშიც. საერთოთ მაზრაში უკანასკნელ ხანებში პარტიულ მუშაობას მოცოცხლება ეტყობა, თუმცა პარტ მუშაკების საკმაო ნაკლულოვანებაა. საჭიროა ამ მხრივ ცენტრის ყურადღება.

ხანდრო.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(27 აპრილი)

ოქროს 10 მან.	—14,000 ათასი.
გირ. სტერ.	— 7.550 ათასი.
დოლარი —	— 1.775 ათასი.
ლირა — —	— 1,300 ათასი.
საბჭ. ფულის ნიშ.	16,5. ათასი.

ძვირფასი ლითონების კურსი.

(28 აპრილი).

ოქრო 96 სასინჯ. მისხალი—3 მან. 40 კაპ., ოქრო 56 სასინჯ. მისხალი—1 მ. 70 კ. ვერცხლი 84 სასინჯ. მისხ.—6,75 კაპ. 1 მანეთი ხურდა—16,5 კაპ.

სავალიუტო ბაზრის განწყობილება.

სავალიუტო ბაზრის განწყობილება მტკიცეა. გუშინდელთან შედარებით ოქროს და ვალიუტის კურსი უცვლელია.

მუშათა მთლიან კოოპერატივის ფასები.

თეთრი პური—25, შაქრის ფხვნილი წევრთათვის— 260 ათასი, საპონი „ტოლლე“—200, საპონი მარმარილო ადგილ.—200, მარილი 35, წითელი ლობიო 15—20, წუწუმა—15—25.

ტფილისის სადგურზე მოტანილი ტვირთები.

27 აპრილს.

პირდაპირი მიმოსვლით:

ქატო—1500, შაბიამანი—989,—ფქვილი ხორბლის—1006, ბაბიტი—700.

ადგილობრივი მიმოსვლით:

ქვანახშირი 6 ვაგონი, ლიტერატურა—205 ფ. ნოხები—46 შეკვ. მედიკამენტები—3 ყუთი. ბორჯომის წყალი—1500 ფ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(ბითუმად)

ხორბალი ყუბანის ფუთი—700—750 ადგილობრივი ხორბალი—550—600. ბრინჯი აქულის—6.000—6.500. ფქვილი „კრუპჩატკა“—2.000, ფქვილი ადგილ.—850, შაქარი რაფინადი—35 მ., ჩაი „კაზვინი“—100 ლირა, კარაქი—18000.

ოქროს კურსი რ. ს. ფ. ს. რ. სხვა და სხვა ქალაქებში.

ხარკოვი	—820 მილ.
კიევი	—780 „
მინსკი	—700 „
ოდესა	—815 „

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

ჩაი ცეილონის და ჩინეთის, ქვამარილი, ფოთლოვანი თამბაქო, ფქვილი „კრუპჩატკა“. ცელები ავსტრიის, ჩაი „კაზვინი“, შოკოლადი, ერბო, კაკაო, ზეთი, გოგირდი, ჯაგარი, ლურსმანი, რეზინ-ტრესტის ნაწარმოები, მინა, ბურღული. ყველი შვეიცარიული, ბარები რკინის, ნაწლავები, სკიპიდარი, ცემენტი პორტლანდის, ხორბალი, რკინა სორტ. შაქარი რაფინადი, სამთითი გერმან. ფიფქური, შაქრის ფხვნილი, მახორკა, მზესუმზირას ზეთი.

ბირჟის მოთხოვნილება.

ქვამარილი, მაკარონი იტალიის, მატყლი, ბამბა, მავთული რეზინოტრისტის ნაწარმოები, საპნის სუროგატი, მანუფაქტურა, ლურსმანი, პარაფინი, ბერტოლეს მარილი, სოდა კაუსტიკ, ნაწლავები, ტყავი, შაბიამანი, ხორბალი და პურის პროდუქტები, თამბაქო ფოთლოვანი, ჩაი „სოსიფროსი“ და „კაზვინი“, სანთელი თაფლის, ბრინჯი.

ოფიციალური გარიგებანი.

(28 აპრილს)

ბურღული 1 მილ მან. ფუთი, ამიერ-კავკ. ბონით, გამყიდველის ფრანკო საწყობში. მაკარონი იტალიის 6 ოსმალ. ლირა ფუთი გამყიდველის. ფრანკო-საწყობში, ქვა მარილი 62 კაპ. ოქრ. ფუთი, მყიდველის ფრანკო-საწყობში.

რუსეთის ნავთის ექსპორტი

წასულ წლის დეკემბერში საფრანგეთის და ბელგიის დიდმა სანავთო საზოგადოებებმა ბატონ ლიანოზოვსკების მანთაშევების და სხვა ემიგრანტების დახმარებით ბოიკოტი გამოუცხადეს რუსეთის ნავთის ექსპორტს, ფიქრობდენ რა ამ გზით საბჭოთა მთავრობის ბაქოსა და გროზნოში ჩამორთმეულ სამრეწველოებების დაბრუნებას, ამ ბლოკადა კულისებში, უეჭველია, მხარს უჭერდა ორი დიდი ნავთის მრეწველნი—სტანდარტ-ოილი და როიალ დეიტში, თუმცა არა ოფიციალურად შეუერთდენ რუსეთის ნავთის პროდუქტებისადმი გამოცხადება ბოიკოტს. ბოიკოტი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა საფრანგეთში, ამ ანტისაბჭოთა მახინაციების უკანასკნელ ცენტრში. და სწორედ პარიზში, მეოთხე თვის ბოლოში რუსეთის ნავთის ბლოკადა დარღვეულ იქნა ეკონომიურ ურთიერთობათა რეალური ლოღიკით, ცხადია, რომ მუდამ სტანდარტ-ოილის ნებასურვილების მიხედვით მოქმედება საფრანგეთს არ გამოადგება ც საფრანგეთის მთავრობას საკუთარი „ეროვნული“ ნავთის პოლიტიკის წარმოება შეუძლია მხოლოდ ბაქოს და გროზნოს „დახმარებით“, რადგან მოსული საბოლოვოდ მოექცა ინგლის-ოსმალეთის დამოკიდებულებათა ორბიტში.

მექსიკის ნავთიან ადგილებს მარილიან წყლით დაფარვა არის უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორი და სტანდარტ-ოილის გამგეობის თავმჯდომარეს ტყუილად კი არ სტეხავს აურ-ზაურს თავის უკანასკნელ მოხსენებაში მოვლენილ უბედურების გამო და მოითხოვს „ღია კარების“ პოლიტიკას მესოპოტამიაში და სხვაგან.

სამი უკანასკნელი თვიების განმავლობაში რუსეთმა მოახერხა მთელ რიგ გარიგებათა მიხედვით გაენაწილებია ინგლის-საფრანგეთ, გერმანიის შორის მთელი ნავთის პროდუქტების ოთხი მეხუთედი, იმისა რომელიც განზრახული იყო გასატანად 1923 წელს.

მთელი მსოფლიოს ეკონომიკის ობიექტიური პირობები უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებენ ბაქოს და გროზნოს საბჭოთა საგარეო-პოლიტიკო-ეკონომიურ ფრონტზე.

ამ ადგილებს წესიერი მოქმედებისათვის ესაჭიროებათ მატერიალური საშვალებათა საჭირო რაოდენობა.

საქართველოს მრეწველობა

ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს გამოკვლევის თანახმად, მთელს საქართველოში 1922 წლისათვის აღრიცხულია 386 სამრეწველო დაწესებულება, რომლებშიაც მუშების საერთო რაოდენობა უდრის 9875 კაცს. აღნიშნულ დაწესებულებათა რაოდენობიდან აღმოსავლეთ საქართველოს წილად ხვდება 241 დაწესებულება 8185 მუშით დასავლეთ—საქართველოს—70 დაწესებულება 957 მუშით და აჭარას 75 დაწ. 783 მუშით. ამ რიგად საქართველოს სამრეწველო ცხოვრების ცენტრს წარმოადგენს აღმოსავლეთ-საქართველო (ყველა დაწესებულებებით 68 პრ. და მუშა ძალის 83 პრ.) მრეწველობა თავს იყრის მსხვილ ქალაქებში (ტფილისი, ბათომი, ქუთაისი), დანარჩენ ქალაქებში და მაზრებში სულ მოიპოება 131 დაწესებულება და 1191 მუშა.

დაწესებულებების და მუშების რაოდენობის მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს საკვები პროდუქტების, სასმელების და ნარკოტიკების წარმოების და ლითონის დამმუშავებელ მრეწველობის (თუ მივითვლით რკინის გზის დეპოს და სახელოსნოებს, სადაც მუშაობს 2860 კაცი.): წარმოების სიდიდის მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს ქვა-ნახშირის მაღაროებს (381 მუშ.), ხოლო შემდეგ ლითონის დამმუშავებელ მრეწველობას სადაც 28 დაწესებულებაში მუშაობს 3,807 კაცი. შემდეგ მიდის მანქანების, ინსტრუმენტების და იარაღების დამზადება—5 დაწესებულება 480 მუშით. შედარებით მსხვილ წარმოების კატეგორიას უნდა მივაკუთნოდ თამბაქოს წარმოება, სადაც 19 ფაბრიკაში მუშაობს 1044 მუშა.

ზემოდ აღნიშნულ დაწესებულებათა საერთო რაოდენობიდან დახურულია 17 და შეჩერებულია 92. ყველა ისინი ეკუთვნიან წვრილ წარმოებას. წარმოების შეჩერების მიზეზად ჩაითვლება ნედლი მასალის უქონლობა და შეკეთება. 386 სამრეწველო დაწესებულებიდან ჩამორთმეულია 209 დაწ.—8971 მუშით, ესე იგი საქართველოს მუშა ძალის 91 პროც. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განკარგულებაში არის 107 დაწესებ. 4075 მუშით, ესე იგი მთელი ჩამორთმეული მრეწველობის 50 პროცენტი.

დანარჩენი ჩამორთმეული წარმოებები ნაწილდება სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს და ადგილობრივ ორგანოებს შორის.

კერძო მრეწველობა საქართველოში უმნიშვნელოა—სულ 153 დაწესებულება (შინამრეწველობის ტიპის) 702 მუშით.

თამბაქოს სახელმწიფო ფაბრიკები

(მარტის თვის განმავლობაში)

ტფილისის ექვსი თამბაქოს ფაბრიკის მუშაობა გამოიხატება შემდეგ ციფრებში: ხარისხებათ დაწყობილია 93476 გირ., თამბაქო გახვეულია, 19865 გირ. დამზადებულია გილზები—40659100 ცალი, დამზადებულია 38402676 ცალი პაპიროსი 19653 მუშა ძალით (კაცი—საათი).

ბათომის ფაბრიკაში ხარისხებათ დაწყობილია 4827 გ. თამბაქო, გახვეულია 2795 გირ. დამზადებულია გილზები—1625000 ცალი, დამზადებულია 160100 ცალი პაპიროსი, გახვეულია 1142000 ცალი პაპიროსი.

ქუთაისში დაწყობილია ხარისხებათ 12840 გირ. თამბაქო, დამზადებულია პაპიროსი—1943500 ცალი. სულ თამბაქოს ტრესტის ყველა ფაბრიკების მუშაობა; დაწყობა ხარისხებათ—111143 გირ. თამ. გახვეულია—29770 გირ. დამზადებულია გილზები—4418400 ცალი. დამზადებულია პაპიროსი—41947176 ცალი. 22493 მუშა ძალით (კაცი—საათი).

მეთამბაქოეთა აღდგენა

საჭირო შენობების აღსადგენათ აფხაზეთის მიწად-მოქმედების კომისარიატმა მეთამბაქოებს კოოპერატივების საშუალებით ხელსაყრელ ფასებში და ნისიათ დაუთმო სხვა და სხვა ხე-ტყის მასალა, რომლის საერთო ღირებულება 70.000 მანეთს უდრის ოქროთი თამბაქოს კოოპერატივების ცენტრალური გამგეობის თხოვნის თანახმად, აფხაზეთის სახკომსაბჭომ შუამდგომლობა აღძრა რ. ს. ფ. ს. რ. სახკომსაბჭოს წინაშე აფხაზეთის თამბაქოს მრეწველობის აღსადგენათ 6000 ფ. ლურსმნის და 1000 ფ. მავთულის დათმობის შესახებ, რომელთა მიღებას თამბაქოს კოოპერატივების საწყობებში ამ დღეებში მოელიან. თამბაქოს კოოპერატივების გამგეობამ შეიძინა და ზომებს იღებს სხვა საჭირო მასალების—წამლის (МЫШЯК), შპაგატის და სხვების თავის დროზე მისაღებათ. სახკომსაბჭომ გააუქმა ცენტრალური გამგეობის ვალი, რომელიც 300.000 მანეთს უდრიდა ოქროთი. ეს თანხა გადაიდო აფხაზეთში მეთამბაქოეობის აღსადგენათ პლანტატორებისათვის სუბსიდიების მისაცემათ. თამბაქოს მრეწველობის აღდგენისათვის კოოპერატივების ცენტრალური გამგეობის სახელზე მოსულ საქონელზე მოხსნა სხვა და სხვა—400.000 ოქროს მანეთის გადასახადი. აფხაზეთის სახკომსაბჭოსთან სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მეთაურობით დაარსდა კომიტეტი მეთამბაქოეობის აღსადგენათ, რომელშიაც შედიან წარმომადგენლები სამეურნეო ორგანოების და თამბაქოს კოოპერატივების ცენტრალური გამგეობის. ამ კომიტეტის მუშაობა მიმართულია აფხაზეთის თამბაქოს მრეწველობის აღსადგენათ ზომების და საშვალებების გამონახვისაკენ, ამ მრეწველობის ომამდი არსებულ ნორმამდი ასაყვანად და მისი შემდეგი განვითარებისათვის.

ს. კ. პ. აფხაზეთის საოლქო კომიტეტი თეზისებში აგიტატორებისათვის მეთამბაქოეობის აღდგენის შესახებ მიუთითებს: „საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ძლიერების ზრდასთან ერთად იქმნება მეტად ხელსაყრელი პირობები აფხაზეთში თამბაქოს მრეწველობის აღდგენისათვის. შექმნილი პირობების ანალიზი ნათელყოფს ძვირფასი თამბაქოს კულტურის წარმატებით აღდგენისათვის საჭირო რეალური რესურსების არსებობას. საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების საერთო ეკონომიური აღორძინება, გლეხობის მიერ შეძენილი დიდი გამოცდილება და პრაქტიკა მეთამბაქოეობის დარგში, მისი თვითმოქმედება და ლტოლვა თამბაქოს კულტურის აღდგენისაკენ, კლიმატიური და ნიადაგის პირობები, საბჭოთა ხელისუფლების და თამბაქოს კოოპერატივების (რომლებშიც გაერთიანებული 15.000 პლანტატორი) ღონისძიებანი, მტკიცე თავდებია თამბაქოს მრეწველობის და გლეხობის ფართე მასების კეთილდღეობის აღდგენის და რესპუბლიკის საერთო სასოფლო-სამეურნეო განვითარების.

საქართველოს პირველი სამალარიო ყრილობა

III-ე სხდომა.

ექიმ ოქროპირიძის მოხსენების შემდეგ იწყება მოხსენებები ადგილებიდან: მოხსენება ქუთაისის, ზუგდიდის სენაკის, ახალციხის, ოზურგეთის, გორის, სიღნაღის თელავის მაზრებიდან და ქ. ბათომის ოლქიდან.

მალარია ქუთაისის მაზრაში.

(ექ. ლორთქიფანიძის მოხსენება)

ყველა სნეულებათა შორის მთელ ქუთაისის მაზრაში პირველი ადგილი უჭირავს მალარიას. საერთოდ ეს მაზრა სხვა დანარჩენ მაზრათა შორის ავადმყოფობის მხრივ პირველ ალაგს იკავებს. განსაკუთრებით მალარია დიდ საშიშროებას წარმოადგენს და ერთ ნაწილს საქართველოსას სრულ გადაშენებას უქადის. ქუთაისის მაზრის ვაკე ადგილები, მდ. რიონის, ცხენის წყლის, გუბის წყლის და ყვირილის ჭალები—ეს არის მალარიის ბუდეები. ხშირი წვიმებით მდინარეების ადიდების გამო წყალი კალაპოტიდან გადმოდის, ჰქმნის თხრილებს და ორმოებს და ამ რიგათ მინდვრებს—ჭაობებს აჭაობიანებს. დაჭაობიანებას ხელს უწყობს აგრეთვე უპატრონოდ მიტოვებული ძველი არხები, რომლებიც არ იწმინდებიან და დამპალ წყლის მუდმივ საგუბარს წარმოადგენენ, მრავალია აგრეთვე არხი, რომელიც დაუმთავრებელია და ამის გამო სარგებლობის ნაცვლად დიდ ვნების მომტანია. თავისი მალარიანობით მთელ მაზრაში გამოირჩევიან შემდეგი სოფლები, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ: ღანირი, ჭაგარი, ქვიტირი, კულაში, ნაქალაქევი, მუხიანი, ტობანიერი, გულეიკარი, პატრიკეთი, დაფნარი, სამტრედია, ბაში, ამაღლება, კუხი; ამ სოფელთა შორის აღსანიშნავია განსაკუთრებით სოფელი დაფნარი, სადაც მალარიით სნეულთა რაოდენობა 100 პროც.-მდე აღწევს. ქუთაისის ჯანმრთელობის კომისარიატის განყოფილების სტატისტიკური ცნობებით 1913 წელს 13 საექიმო პუნქტზე მალარიით ავადმყოფთა რიცხვი 243 კაცს უდრის, 1920 წელს—9,120 კაცს. 1921 წელს 14 პუნქტზე 22.819, 1922 წ. 16 პუნქ.—35,000 კაცი, 1922 წელს მალარიამ ქუთ. მაზრაში ეპიდემიური ხასიათი მიიღო, ბარიდან მთა გორიან ადგილებში შეიჭრა: მაგ. ზეკარის მიდამოებში, სადაც დღემდე არა თუ მალარია, ერთი მალარიკაციც არ ყოფილა. 1922 წელს მალარიით დაავადებულთა რაოდენობა—70 პროცენტამდე აღწევდა.

მალარია ზუგდიდის მაზრაში.

(ექ. ჩხოლარიას მოხსენება).

ზუგდიდის მაზრის უმეტესი ნაწილი ვაკეს წარმოადგენს, რომელსაც ძლიერ ახლოს აკრავს შავი ზღვის პირი. მდინარე ენგური, ხობის წყალი და სხვა პატარა მდინარეები შავ ზღვასთან ერთად ერთგვარ გავლენას ახდენენ მაზრის ჰავაზე, რომელიც მეტად ნოტიოა და ამასთანავე თბილიც. გარდა ამისა ხშირი წვიმები ხელს უწყობენ ჭაობიან ადგილების სიმრავლეს, სადაც ჩნდება სათანადო მცენარეები და ცხოველები. ასეთი ჭაობიანი ადგილები მაზრაში, რომლის სივრცეს შეადგენს 2398,36 ოთხკუთხიან ვერსტს დაახლოებით ნახევარია ე. ი. 1199,18 ოთხკუთხედი ვერსტი. მალარია მძვინვარებს უმეტესად ხობის და დარჩელის უბანში. ამათ შავი ზღვა ეკვრის; მდიდარი ტყით არიან მოცული და აქ მთელი სოფლები ჭაობებშია გაშენებული.

მალარია უმთავრესად იმ ადგილებში მძვინვარებს სადაც მდინარეებია, რომლების ნაპირები არ არის გამაგრებული და ადიდების დროს ყოველ ჟამს მოედება სოფლებს და განადგურებასთან ერთად ჭაობებსაც სტოვებს ხოლმე სტატისტიკური ცნობები მაზრაში მალარიის შესახებ მხოლოდ ამ უკანასკნელ 8 წელს შეეხება, სახელდობრ 1920 წლიდან დღემდე. 8 საექიმო უბანში მხოლოდ 4 ექიმია, ხოლო დანარჩენ 4 უბანში ფერშლები აწარმოებენ ავადმყოფთა ამბულატორიულ მიღებას.

მცხოვრებლები ძლიერ იშვიათად მიმართავენ ხოლმე ექიმს, ხშირად თვითონვე წამლობენ თავიანთ თავს ზეთითა და არსენით, რომელშიაც ქინა-ქინა და პილპილია შერეული. 1920 წელს საექიმო დახმარება მიიღეს 4,723 მალარ. დაავადებულმა, მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 130.525 სულს. 1921 წ. მაზრაში საექიმო დახმარება მიეცა 6.871 სულს მალ. დაავადებულს. 1922 წ. მაზრაში საექიმო დახმარება მიეცა 4,549 სულს. 1923 წელს იანვარსა და თებერვალში დახმარება მიიღეს 339 კაცი. რასაკვირველია, ეს რიცხვი სრულიად არ [illegible] მალარიით შეპყრობილთა რაოდენობას მთელს მაზრაში. გარდა მალარიისა სხვა სნეულებაც საგრძნობლად მძვინვარებს. რაც შეეხება ქინაქინის ხარჯს, მაზრაში 1922 წლის განმავლობაში დაიხარჯა 20 kilo, ხოლო დასნეულებულთა რაოდენობა ზუგდიდის მაზრაში კი მოითხოვს 208 kilo-ს თვიურად—იმ ანგარიშით, თუ თვითეულ სნეულს 4,0 მილიგრამ თვეში. ამ რიგათ ზუგდიდის მაზრა მალარიის მხრივ დიდ საშიშროებას წარმოადგენს და საჭიროებს ჯეროვან ყურადღებას თუ გვსურს, რომ მცხოვრებთა მკვირცხლი გონება არ დაჩლუნგდეს და გადაშენების გზას არ დაადგეს მთელი სამეგრელოს მოსახლეობა.

მიხეილის საავადმყოფოს ცხოვრებიდან

ადამიანის შრომა მაშინ არის ნაყოფიერი, როცა მას გულწრფელათ უყვარს თავისი საქმე, შეგნებული აქვს თავისი მოვალეობა საზოგადოების წინაშე და მოთმინება და ღრმა დაკვირვება საუკეთესო, თვალსაჩინო მის თვისებებს შეადგენს.

ეს საერთო დებულება ყოველ პროფესიაში უფრო საჭირო და ყურადსაღებია ისეთ ასპარეზზე, როგორიც არის საექიმო და საპედაგოგიო სარბიელი. კაცი ერთგვარ შრომას ეჩვევა და განაგრძობს ამ მუშაობას, მაგრამ ბევრს იქვე ახალგაზრდობაში მალე ბეზრდება საქმე და აღარ დაგიდევს, რამდენათ პატიოსნათ ეკიდება ის თავის მოვალეობას. იშვიათი არ არის ასეთი მოვლენა ექიმის ცხოვრებაშიაც, რომელმაც ადამიანის ყოფნა არ ყოფნის საკითხი უნდა გადასწყვიტოს. ცხადია, ფრიად სასიამოვნოა, როცა ექიმში ზემოთ დასახელებულ დადებით თვისებათ ხედავ.

ამ ორიოდე სტრიქონის დამწერმა ერთი ასეთი ექიმი ვნახე ზევით ნახსენებ საავადმყოფოში; მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მე ერთ დროს იქ დავყავი, არ ყოფილა არც ერთი ისეთი შემთხვევა, რომ უსიამოვნო გრძნობა გამოეწვიოს: დილა საღამოს ექიმი ქრონომეტრივით თავის დროზე მოდის ავადმყოფებთან, გულდასმით, დიდის დაკვირვებით სინჯავს თვითეულს მათგანს, აძლევს კითხვებს, ისმენს პასუხებს; არა თუ ყურს არ ავლებს, პირიქით სთხოვს ავადმყოფებს, დაუსვან მას საჭირო კითხვები, გააცნონ მთელ ისტორიას ავადმყოფობისას; ვნახე შემთხვევები, როცა ავადმყოფმა მთელი ლიტერატურა გადუშალა მუშაობით მოღლილ ექიმს, მაგრამ მას ნიშანწყალიც არ შეტყობია ხოლმე, რომ მოთმინებას ცოტა არის ღალატობს. არა ექიმმაც კი იცის, რომ ბევრია ისეთი ავადმყოფი, რომელიც კაი ხანია, რაც წევს, ბევრჯერ არის გასინჯული და არ არის საჭირო დილა საღამოს მისი სინჯვა, მაგრამ ამ ექიმს კი სავალდებულოთ მიაჩნია ავადმყოფის მდგომარეობის გაგება და დაწვრილებით და დაკვირვებით დარიგების მიცემა.

კარგიც იყოს ექიმი, როგორც გამომკვლევი ავადმყოფის წარმომშობ მიზეზისა და მცოდნე შესაფერისი წამლობისა, თუ ის ტლანქია, უხეში, ზრდილობა აკლია, სწორ ფსიქოლოგიასაც აცნობდეს ავადმყოფსა და მის მოყვარულთ—რა ვუყოთ, ყველა მოკვდებითო, მისი სასურველი გავლენა ავადმყოფზე ძალზე სუსტდება, რადგან ყოველი ადამიანი მომავალს იმედით შეჰყურებს, იმედით ცოცხლობს. ამ მხრივაც ფრიად მოსაწონია ამ ექიმის თვისებები, რომელიც მე მკურნალობდა ზრდილობიანი, დაუშრეტელი მოთმინებით, ტკბილი სიტყვა-პასუხის პატრონი, მუდამ მომღიმარი, იმედის მომცემი და ცოტა რამ მეც მესმის—კარგი ექიმიც. ეს ექიმი გახლავთ **ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ზვედელიძე.** ვუსურვოთ, ეს თვისებანი მას ღრმა სიბერემდი შერჩენოდეს.

უნდა აღვნიშნო აგრეთვე, რომ ყურადღებითა და თავის მოვალეობის შეგნებით ეპყრობა ავადმყოფებს მოწყალების და—ნინო ზაქარიას ასული ბაქრაძე.

№

პროფკავშირებში

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში.

სანატორიუმი „არმხინდოსათვის“.

კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა ჩატაროს კომპანია სანატორიუმი „არმხინდოს“ სასარგებლოდ და ამ მიზნით მობილიზაცია მოახდინოს პრეზიდიუმის ყველა წევრების.

დავალიანების დასაფარავად.

პრეზიდიუმმა, მიიღო რა მხედველობაში, რომ ნავთლუღის მუშები არ ღებულობენ თავის დროზე სამუშაო ქირას, და აგრეთვე არ ეძლევათ მათ სპეც-ტანისამოსი, წინადადება მისცა „ცენტრამოტის“ კოლეგიას დაუყოვნებლივ გამონახოს საშუალება მუშების მიმართ დავალიანების დასაფარავად.

სენაკის პროფბიუროში.

შეფობა პოლიტიკურ ტუსაღებზე.

პროფბიურომ დაადგინა მიიღოს შეფობა ქალაქ ტურინის (იტალიაში) ერთ ერთ ციხეზე, სადაც სხედან პოლიტიკური ტუსაღები—კომუნისტები.

უპატრონო ბავშვების სასარგებლოდ.

პროფბიურომ დაადგინა ყველა მუშა-მოსამსახურეთა ერთი დღის ხელფასი გადადებულ იქნას უპატრონო ბავშვების სასარგებლოდ.

ტყავის ქარხანა.

პროფბიურომ კომუნალურ განყოფილებასთან გახსნა ტყავის ქარხანა.

კულტმუშაობა.

სენაკის პროფბიუროს კულტგანყოფილებამ 20 აპრილს გახსნა სკოლა წერა კითხვის უცოდინართათვის. სკოლაში ჩაწერილია 35 წევრი. ახლო მომავალში გაიხსნება პირველ საფეხურის სკოლა.

ქრონიკა

განათლების კომისარიატში.

— **შემოსულ სწავლის ფულის შესახებ.** განათლების კომისარიატმა დაუგზავნა ცირკულიარული მოწერილობა ყველა განათლების განყოფილებებს, რათა აცნობონ კომისარიატს სწავლის რამდენი ფული შემოვიდა მათდამი რწმუნებულ რაიონის ტექნიკუმებში 1 იანვრიდან 1 აპრილამდე. ცნობების დაგვიანება შეაფერხებს სასწავლებლებისათვის კრედიტის გახსნას. ასეთივე შინაარსის ცირკულიარი დაეგზავნა ტფილისის ტექნიკუმების გამგეებს.

ა.-ფ. შრომის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში.

— **შრომის ხარკის შესახებ.** სამმართველოს კოლეგიამ სიღნაღის სამაზრო აღმასკომის მიმართვის თანახმად, დაადგინა 1922 წ. აკრეფილ შრომის ხარკის 85 პროცენტი გადაეცეს ადგილობრივ კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას.

— **1922 წლის ანგარიშის გამოცემა.** კოლეგიამ დაადგინა გამოსცეს 1922 წლის მუშაობის ანგარიში ცალკე წიგნად ქართულ ენაზე.

— **პროფ - ორგანიზაციებისათვის.** ამავე კოლეგიამ დაადგინა დაურიგდეს ყველა პროფორგანიზაციებს „შრომის კოდექსები და დებულებები“-ს თითო ცალი.

— **სასადილო უმუშევართათვის 1 მაისის დღესასწაულის აღსანიშნავათ.** სამმართველოს კოლეგიამ 1 მაისის დღესასწაულის აღსანიშნავათ ვერის დაღმართზე (ყოფ. შრომის ბირჟის შენობაში) გახსნის უმუშევართათვის სასადილო 500 კაცისათვის.

— **ადგილობრივი სოც. დაზღვევის განყოფილებების რევიზია.** კოლეგიამ დაადგინა მივლინებული იქნეს 2 ინსტრუქტორი თელავში, სიღნაღში, დუშეთში და ბორჩალოში ადგილობრივ სოციალურ დაზღვევის განყოფილებათა სარევიზიოთ.

— **თანხის გაცემა.** კოლეგიამ დაადგინა გადაეცეს შრომის ბირჟის კომიტეტს დამშეულთა დამხმარე კომიტეტიდან საჭირო თანხა უმუშევართა სამშობლოში გასაგზავნათ.

შრომის ბირჟა.

— **უმუშევრები** 27 აპრილს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 870 უმუშევარი, ამათგან მამაკაცი 202, დედაკაცი 408. ამავე დღეს ჩაეწერა უმუშევრები 159, მამაკაცი—103, ქალი—56. სამუშაოზე გაიგზავნა 45 უმუშევარი—ქალი 13, კაცი 22.

წითელ ჯარში

— **ჯარში გაწვევა,** ვინაიდან უკვე დაიწყო 1901 წელში დაბადებულთა ჯარში გაწვევა, სააგიტაციო განყოფილების ყველა ხელმძღვანელი გაწვეულ იქნა სამობილიზაციო რაიონში სამუშაოთ. ახლად გაწვეულ ჯარის კაცებისათვის იმართება სხვადასხვა საკითხებზე კითხვა—ბაასები, მოძრავი სამკითხველოები, სათანადო წარმოდგენები და სხ.

— **ცენტრალური სამკითხველო** წითელი არმიის პოლიტ. განყოფილების ცენტრალური სამკითხველოს მარტის განმავლობაში ჰყავდა მკითხველი 9000-ზე მეტი წითელ არმიელი. შენიშნულია რომ წითელ არმიელებში თანდათან მრავლდება წერა-კითხვის მოყვარულთა რიცხვი.

გამომცემლობა.

ჟურნალი „მომავალი“. გამოვიდა და იყიდება საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „მომავალის“ № 4 (11). ჟურნალში მეტად საინტერესო წერილებია მოთავსებული მეცნიერულ და ლიტერატურულ ხასიათის. ჟურნალი შეიცავს 85 გვერდს და ღირს 200 000 მან.

კრებები და მოხსენებები

— დღეს, 29 აპრილს, საღამოს სრულ 7 საათზე, ვაჟთა პირველი ტექნიკუმის შენობაში (გუნიას ქუჩ. № 46) შესდგება ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების მორიგი სხდომა, სადაც მოხსენებებს წაიკითხავენ: 1. პროფ. ა. შანიძე: „დავით აღმაშენებლის მიერ შიო მღვიმისადმი ბოძებული სიგელის დასაწყისი სი-

---

გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოთა ხელისუფლება. ეს შეთანხმება დამყარებული იყო იმაზე, რომ მუშათა კლასმა საჭიროთ დაინახა ცხოვრებაში გაეტარებია გლეხთა მასების მოთხოვნილება მიწაზე.

ე. წ. სამხედრო კომუნიზმის ხანაში, როდესაც უშუალო სამხედრო საფრთხე ემუქრებოდა ყოველი კუთხიდან საბჭოთა რესპუბლიკას, მუშათა კლასმა და გლეხობამ მოაწყვეს მტკიცე სამხედრო კავშირი. წითელი არმიის შედგენა იყო გამოხატულება მუშათა და გლეხთა ამ თავდაცვითი კავშირისა საერთო მტრის წინააღმდეგ. მთელი რიგი ზომების მიღება, რომელმაც ცუდი გავლენა მოახდინა გლეხთა მეურნეობაზე, „რაზვერსტკის“ სახით, ამ წლებში პროლეტარიატს ძალაუნებურად უხდებოდა, გრძნობდა რა ამ ზომების მთელ სიმძიმეს გლეხობისათვის. რათა გადაერჩინა საბჭოთა რესპუბლიკა და მცხოვრებთა მასსა, რომელსაც არავითარი საცხოვრებელი საშუალება აღარ გააჩნდა.

მუშათა კლასი გადავიდა ამ სამეურნეო საშუალებათაგან სხვა საშვალებებზე, რომელიც ამსუბუქებდა გლეხთა მდგომარეობას, როგორც კი შესაძლებელი გახდა მრეწველობის გაფართოება, თავისუფალი ვაჭრობის წარმოება, როგორც კი შემცირდა საფრთხე სამხედრო თავდასხმისა. მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი წმინდა სამხედრო, პოლიტიკურ კავშირიდან გადაიქცა სამეურნეო, ეკონომიურ კავშირად, რომელიც დამყარებული იყო იმაზე, რომ გლეხობაც ისევე დაინტერესებული ჩვენი მრეწველობის აღორძინებით, გაფართოვებით და გაძლიერებით, როგორც მუშათა კლასი საბჭოთა სახელმწიფოში დაინტერესებულია სასოფლო მეურნეობის აღორძინება-გაფართოება-განმტკიცებით.

1921-1922 წლის შიმშილმა, რომელმაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინა გლეხის მეურნეობაზე, კიდევ უფრო მეტად დაამტკიცა საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარულ სახელმწიფოში მუშათა კლასის და გლეხობის განუწყვეტელი კავშირი. ამ შიმშილობის თავიდან აშორება საბჭოთა რესპუბლიკას შეეძლო მხოლოდ მუშათა და გლეხთა საერთო ძალ ღონით. გლეხობას დაეხმარა საერთაშორისო მუშათა ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა მთელი ქვეყნის პროლეტარების მიერ, რომელნიც თავიანთ მცირე ხელფასიდან უგზავნიდენ დახმარებას საბჭოთა რესპუბლიკის დამშეულ გლეხობას- თუ კაპიტალისტურ საზოგადოების სხვა კლასების დახმარება იყო იძულებითი, თვალთმაქცური, სწორედ მუშათა დახმარება იყო გულწრფელი. ცდა დახმარება გაეწიათ კომუნიზმის გზაზე დამდგარ ერთად-ერთ ქვეყნის მუშათა კლასისა და გლეხობისათვის.

რუსეთის კომპარტია ყველა თავის ყრილობებზე პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში, აყენებდა საკითხებს მუშათა კლასის და გლეხობის სწორი ურთიერთობის შესახებ, და ამასთან ერთად ამ სწორ ურთიერთობას ის გამოხატავდა იმაში, რომ მუშათა კლასი, რომელიც ხელმძღვანელობს მთელ პროლეტარულ გადატრიალებას, მთელ პროლეტარულ რევოლიუციას, დახმარებას უწევს გლეხს გადავიდეს მეურნეობის ჩამორჩენილ, უნაყოფო ფორმებიდან მიწად მქლობელობის და მუშაკების უფრო ნაყოფიერ და გაუმჯობესებელ ფორმებზე. საბჭოთა რესპუბლიკის მთელი კანონმდებლობა მიწის საკითხში მიმართული იყო იქითკენ, რათა გაადვილებოდა გლეხობას სასოფლო-მეურნეობის ამ მაღალ ფორმებზე გადასვლა. პროლეტარული სახელმწიფო ყველთვის აუმჯობესებს მიწის კანონებს სასოფლო მეურნეობის პრაქტიკულ მოთხოვნილებათა მიხედვით, სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესების თანახმად. მიწის კანონების გადასინჯვა ხდება სწორეთ გლეხთა მშრომელ მასების ინტერესების და სასოფლო-მეურნეობის უფრო ნაყოფიერად დაყენების ინტერესების მიხედვით. მსხვილი მრეწველობის განვითარებაში მუშათა კლასი ხედავს არა მარტო პროლეტარიატის ძალთა განმტკიცების საშუალებას, არამედ იმ საშუალებასაც, რათა ჩვენი სასოფლო მეურნეობა წვრილ—სუსტ მეურნეობიდან გადიქცეს ისეთ მეურნეობად, რომელსაც მიუდგება ყველაზე გაუმჯობესებელი სამეურნეო იარაღები, აშენებს რა დიდ ელექტრონის სადგურებს, აფართოვებს რა ტრაქტორების და სხვა სასოფლო სამეურნეო მანქანების წარმოებას, პროლეტარულ სახელმწიფოს სახეში აქვს შეამსუბუქოს გლეხთა შრომა და შეამციროს ის განსხვავება, რომელიც არსებობს ქალაქის მუშის და გლეხის შრომის პირობებს შორის. გარშემორტყმულ კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში, როდესაც სამხედრო ფრონტები გვაცლიდენ ჩვენ მთავარ ძალებს, ჩვენ ამ დარგში მცირეოდენი რამ მიღწევა შეგვეძლო. მხოლოდ ახლა, ჩვენი მსხვილი მრეწველობის გამოცოცხლების, პროლეტარიატის მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ შესაძლებელი ხდება სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება. ჩვენი ამოცანა მომავალშიაც იქნება ეს განუწყვეტელი კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, რათა ეს საურთიერთო დახმარება გაძლიერებულ იქნას მტკიცე, შეგნებულ, მოფიქრებულ და ცხოვრებაში გატარებულ კავშირამდე.

იმავე მიმართულებით მოქმედებს და უნდა იმოქმედოს ჩვენმა საგადასახადო კანონმდებლობამაც იგი იყო ძალიან მძიმე რევოლიუციის პირველ ხანებში, როდესაც მას ჰქონდა „რაზვერსტკის“ ხასიათი. იგი შეიცვალა „რაზვერსტკიდან“ სასურსათო გადასახადზე გადასვლით. მაგრამ სასურსათო გადასახადიც მძიმე იყო გლეხობისათვის, განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი დაკავშირებული იყო მთელ რიგ გადასახადებთან. ეს გადასახადები ნაკლებათ იყვნენ ერთმანეთთან შეთანხმებული ისინი არღვევდენ თვითეულ სოფლის მეურნის გეგმას, ის არ იყო დარწმუნებული ხვალინდელ დღეში და ამიტომ სოფლის მეურნეობის განვითარება ფერხდებოდა. აი ამიტომ არის დაინტერესებული მუშათა კლასი იმით, რათა სახელმწიფოსათვის საჭირო გადასახადების აკრეფა (ყველა მცხოვრებთა საზოგადოებრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. საბჭოთა რესპუბლიკის დაცვა, სახალხო ჯანმრთელობა, სკოლა, სოციალური უზრუნველყოფა, მიმოსვლა და სხვა) ხდებოდეს გლეხისათვის უფრო მისაღებ პირობებში. აი ამიტომ მუშათა კლასის პარტია თავის მე-12 ყრილობაზე ადგენს შეცვლილ და შემსუბუქებულ იქნას გადასახადების აკრეფა, გაუქმებულ იქნას მრავალი გადასახადები და გატარებულ იქნას ერთიანი გადასახადი, რომელიც საშუალებას მისცემს გლეხს წინასწარ გამოიანგარიშოს, როგორ უნდა წაიყვანოს მეურნეობა, რათა გააუმჯობესოს იგი, დააკმაყოფილოს თავისი საკუთარი და სახელმწიფოს საჭიროებანი.

იმავე მიზანს, ე. ი. მუშათა და გლეხებს შორის სწორი ურთიერთობის დამყარებას, ემსახურება აგრეთვე სახელმწიფოებრივ მრეწველობის და მთელი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება.

მუშათა კლასი სცდილობს, რათა სახელმწიფოებრივი მრეწველობა ემსახურებოდეს გლეხურ მეურნეობას უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე კერძო მწარმოებლის კაპიტალი. გლეხობა დაინტერესებულია იმაში, რომ სათანადო სიმაღლემდე აიყვანოს სახელმწიფოებრივი მრეწველობა, რადგან მხოლოდ მაშინ სახელმწიფო გაანთავისუფლებს გლეხებს შუამავლების, მყიდველების, ვაჭრების და ჩარჩებისაგან და მიაწოდებს გლეხობას უკეთეს ხარისხის და უფრო იაფფასიან საქონელს. ჩვენი მრეწველობის პროდუქტების მაღალი ფასები აიხსნება დღეს იმით, რომ ამ მრეწველობამ ვერ მოასწრო განვითარება იმ ზომამდე, რომ დაფაროს მცხოვრებთა მთელი მოთხოვნილება. ჩვენი პარტია სცდილობს, რათა მთელი სახელმწიფო აპარატი გახდეს უფრო მარტივი, იაფი, დაუახლოვდეს გლეხთა მასებს, შეასწავლოს მშრომელ გლეხობის საუკეთესო ძალებს. და ნახევრად პროლეტარულ გლეხთა მასებს სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობა. ჩვენი პარტიის გადაწყვეტილება მუშათა და გლეხთა ინსპექციის გაუმჯობესების შესახებ, უმთავრესად. დამყარებულია იმაზე, რათა თავიდან იქნას აცილებული მუშათა და გლეხთა შორის რაიმე განხეთქილების შესაძლებლობა, დამყარებულია იმაზე, რათა მუშათა კლასს ჰქონდეს საშუალება უფრო უკეთესად და სრულად გაითვალისწინოს მთელი ჩვენი სახელმწიფო აპარატის ნაკლი და თავის დროზე გამოასწოროს იგი, გაითვალისწინოს ჩვენი წესწყობილებით გამოწვეული ყოველგვარი უკმაყოფილება და ეს უკმაყოფილება მოიშოროს თავიდან საბჭოთა სახელმწიფოს წესწყობილების გაუმჯობესებით.

მუშათა კლასი ქალაქებში, კულტურულ განვითარების, განათლების, სკოლით სარგებლობის, მეცნიერების და ტეხნიკის მონაპოვართა გაცნობის მხრივ ჩაყენებულია უკეთეს პირობებში, ვიდრე გლეხობა. ქალაქებში თავმოყრილია ფაბრიკა - ქარხნები, მანქანები, უნივერსიტეტები, აკადემიები, სკოლები, მუზეუმები; სოფელი სულ უკანასკნელ ხანებამდე უნდა დაკმაყოფილებულიყო ცუდათ მოწყობილ შკოლით. ეს სკოლა არ აძლევდა გლეხთა მცხოვრებთ საკმაოთ წერა-კითხვის ცოდნასაც კი. მუშათა კლასმა მიზნათ დაისახა მოსპოს წერა-კითხვის უცოდინარობა ჩვენ ქვეყანაში, და დაამტკიცა, რომ სასოფლო მეურნეობის აღორძინება, მეურნეობის აღორძინება საერთოთ და თვით მშრომელთა მიერ სახელმწიფოს მმართველ-გამგეობა შეუძლებელია წერა-კითხვის და ცოდნის ფართოთ გავრცელების გარეშე. აი ამიტომ რევოლიუციის დაწყების დღიდან მუშათა კლასი აყენებს ამოცანას დაეხმაროს სოფელს ცოდნათა გავრცელებით და ეხლა ძლივს - ძლივობით შიმშილობისაგან თავდახწეული, გადასდო რა დროებით ვინტოვკა, მუშათა კლასი ხელს კიდებს მეცნიერებას არა მარტო ქალაქისათვის, არამედ სოფლისათვისაც მუშათა კლასი იღებს კულტურულ შეფობას სოფელზე, რაც ნიშნავს ქალაქიდან სოფელში ცოდნის, წერა-კითხვის, პოლიტიკურ განათლების გავრცელებას. გლეხობისათვის დახმარების გაწევა, კარგი სკოლების და არსებით, წიგნების, გაზეთების, საჭირო სასწავლო ნივთების გაგზავნით სასოფლო მეურნეობის და საერთოდ სახალხო მეურნეობის სხვა და სხვა დარგებში ლექტორების დანიშვნით—აი მუშათა კლასის პირველი ამოცანა. ამ ამოცანას ის ასრულებს იმ შეგნებით, რომ მუშათა კლასს გლეხობის სახით ჰყავს მოკავშირე, რომელიც მით უფრო უკეთესად დაეხმარება მას საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობაში, რაც უფრო განათლებული იქნება იგი, რაც უფრო მეტი ეცოდინება მას.

არასოდეს, არც ერთ ქვეყანაში არ ჰქონია ადგილი იმას, რაც საბჭოთა რესპუბლიკაში ხდება. არა სიტყვით, არამედ საქმით მუშათა კლასი და გლეხობა ეხმარებიან ერთმანეთს სამოქალაქო ომის, ბლოკადის, შიმშილობის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დაშლის მძიმე წლებში. მხოლოდ ამ მჭიდრო კავშირის წყალობით შესაძლებელი გახდა მუშათა კლასის და გლეხობის გამარჯვება და ჩვენი მეურნეობის ის გაუმჯობესება, რომელსაც ჩვენ დღეს ვამჩნევთ. და აი ეხლა ჩვენ ვესწრებით ქალაქის და სოფლის ერთობის მტკიცებას საბჭოთა რესპუბლიკაში. მშრომელ გლეხთა დელეგაცია მოდის 1 მაისის დღესასწაულზე ქალაქში და აქ მუშათა კლასის წინაშე აღნიშნავს თავის გაჭირვებას, აქვე აცხადებს, რომ ის მზადაა დაიცვას მუშათა კლასის ინტერესები. ხოლო მუშათა და ახალგაზრდათა კომკავშირის დელეგაცია მიდის ქალაქიდან სოფელში და იქ წითელი დროშის ქვეშ ადასტურებს სოფლის და ქალაქის კავშირს, აცხადებს, რომ ის მზადაა დაიცვას სასოფლო მეურნეობის და გლეხთა ყოფა-ცხოვრების უკეთესი ფორმები, უკეთესი პირობები და უმაღლესი ორგანიზაცია.

რუსეთის კომპარტიის სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილება.

მუშათა ცხოვრება

ნუ დავკარგავთ თავისუფალ დროს!..

ვინც კი კარგად ჩაუკვირდება დღევანდელ მდგომარეობას და გარეშე თვალით გაითვალისწინებს იმ დიად მოვლენას, რომელსაც ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ადგილი აქვს საბჭოთა რესპუბლიკებში, ის უეჭველად მიხვდება და შეიგნებს, თუ რა დიდი მოვალეობის ასრულება დაგვაკისრა დიდმა რევოლიუციამ.

თუ წინად რუსეთის სახელმწიფოებრივი სადავე ხელთ ეჭირა თვითმპყრობელ ხელმწიფეს და თავის გარშემო შემოკრებილი ყავდა ყვავ ყორნები: ბიუროკრატ-მოხელეები, ჟანდარმები, მუქთახორა სამღვდელოება და გლეხების და მუშების სისხლით გასუქებული თავად-აზნაურები, და ბურჟუები; თუ ისინი განაგებდენ ჩვენს ბედ-იღბალს და მძიმე ლოდად აწვნენ მშრომელ ხალხს, მუშებს და გლეხებს, სამაგიეროდ დღეს გასრესილია თვითმპყრობელობა და ყველა მისი ძალები და სახელმწიფოებრივი სადავე ხელში აუღიათ თვით მუშებს და გლეხებს.

დღეს საბჭოთა რესპუბლიკები ერთი აზრით და მისწრაფებით მიილტვიან წინ მშრომელთა უკეთესი მომავლისაკენ, ძმობა-ერთობის დასამყარებლად, სადაც არ იქნება ადგილი ერთი ერის გაბატონებას მეორე ერზე, ჩაგვრა-მონობას, მშრომელთა ინტერესების ფეხ-ქვეშ თელვას, ძლიერის გაბატონებას უძლურზე, რომელიც ახასიათებდა თვითმპყრობელობას და რომელიც ახასიათებს დღეს ბურჟუაზიულ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს.

მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მტერი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის გასრესილი და ჩვენ კიდევ უნდა მოველოდეთ მის შემოტევას და აი სწორედ აქ გვმართებს სიფრთხილე, რომ ხელიდან არ გამოგვგლიჯონ სისხლითა და ბრძოლით მოპოებული თავისუფლება, არ დაგვამხოვნ და ძველებურად არ იბატონონ მშრომელთა მტრებმა მუშებისა და გლეხების ზურგზე.

ამისათვის ყოველი ჩვენგანი გამსჭვალული უნდა იყოს საბჭოთა წყობილების განმტკიცების ინტერესებით და უმნიშვნელო დროც კი არ დავკარგოთ უქმად. წინად ყოველნაირის საშუალებით სცდილობდა თვითმპყრობელობა და მისი დამქაშე ბიუროკრატია გაემაგრებინათ თავიანთ ბატონობა უსამართლობაზე და ამაში კარგად იყვნენ დახელოვნებულნი. ეხლა კი როდესაც ისინი დამარცხებულნი არიან და ჩვენს ბედს თვითონვე განვაგებთ, ჩვენც უნდა ვეცადოთ გაასკეცებული ენერგიით მოვაწყოთ ჩვენი საქმე, მკვიდრი საძირკველი ჩაუყაროთ ხალხის თავისუფლებას.

საბჭოთა საქართველოს ბედ-იღბალი დამოკიდებულია თვით საქართველოს მუშებზე და გლეხებზე. ჩვენი თავი ჩვენ გვეკუთვნის და თუ ჩვენვე არ მოვაწყეთ ჩვენი საქმე, სხვა ვინ იზრუნებს. ნუ თუ გგონიათ ისინი მოგვიწყობენ საქმეს, რომელნიც ბატონობდნენ მშრომელ ხალხზე და სარგებლობდნენ ჩვენის შეუგნებლობით?

არა, თავის ბედ-იღბალი თვით მშრომელმა ხალხმა, მუშამ და გლეხმა უნდა გამოსჭედოს, სხვა მისთვის თავს არ გაიცხელებს!..

რით შევძლებთ ჩვენი საქმის საუკეთესოდ მოწყობას და გაძღოლას? რა არის ამისთანა ძალა?

ეს ძალა არის ჩვენი მდგომარეობის შეგნება, სწავლა-განათლება, ცოდნა!

როდესაც ყველა ამით შეიარაღებულნი ვიქნებით, ჩვენს საქმესაც კარგად მოვაწყობთ და საბჭოთა საქართველოსაც მკვიდრ საძირკველს ჩაუყრით.

კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ უსწავლელი, შეუგნებელი მუშა და გლეხი, ადვილი მოსატყუებელი არის და ის ძნელად გაარჩევს, ვინ არის მტერი და ვინ მოყვარე ამისათვის უნდა შევიარაღდეთ ცოდნით, სწავლით, რადგან სოციალისტურ წყობილების დროს წარმოუდგენელია უსწავლელობა.

მშრომელი ხალხი, მუშები და გლეხები, ძველად მოკლებულნი ვიყავით ამ სიკეთეს და სწავლა-განათლება მარტო მდიდართა და გაბატონებულ კლასის ხვედრი იყო.

ამისათვის დღეს მძლავრად უნდა მოვკიდოთ სწავლას ხელი და თავისუფალი დრო ცოდნას მოვანდომოთ, რაშიაც ხელს შეგვიწყობს ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლება და ყოველნაირად დაგვეხმარება.

უქმად დროს გატარება და ჩვენი უსწავლელობა ჩვენი დამარცხება არის.

მაშ ცოდნისკენ, ამხანაგებო!

მუშა კორ. დ—ელი.

თამბაქოს ქარხანა „პროლეტარიატ“-ში

ამ წერილით მინდა შევეკითხო ჩვენს ქარხნის ადმინისტრაციას შესახებ იმისა, თუ რა მიზეზით მოგვისპო მან ის საშუალება, რომლითაც ჩვენ მუშები ვსარგებლობდით ამ ბოლო დროს. საქმე შემდეგშია: ჩვენი ქარხნის ერთი მუშა ასრულებდა დალაქის თანამდებობას და კვირაში ერთხელ თავს გვიკრეჭავდა და პირს გვიპარსავდა უსასყიდლოდ, მაგრამ სამწუხაროდ ვიღაცას ეს შეშურდა და ჩვენმა ადმინისტრაციამ ერთი ბრძანებით გააუქმა ჩვენი სადალაქო და დალაქი ქარხანაში დასტოვა, სადაც ის აკეთებს სულ სხვა საქმეს. არ ვიცი, რას უნდა მივაწეროთ ასეთი მოქმედება ადმინისტრაციისა, ვიცი მხოლოდ, რომ ეს გარემოება დიდს უსიამოვნებას იწვევს მუშებში. ყოფილი დალაქი ჯამაგირს შეუწყვეტლად ღებულობს. მაშ, რა დავაშავეთ ჩვენ, მუშებმა, რომ ყოველ კვირაში 50—100 ათასი მანეთი ვაძლიოთ დალაქებს, როდესაც ამ ფულით ჩვენ შეგვეძლო ჩვენი ბავშვებისათვის ორი სამი გირვანქა პურის ყიდვა. ეს ჩემი აზრით არ ეპატიება ჩვენს ქარხნის ადგილკომს და თუთუნის ტრესტის [illegible]. მუშებს სურთ გაიგონ, თუ რაში მდგომარეობს საქმის ვითარება.

ალ. ბ—შვილი.

საღამო-კონცერტი მელითონეთა კლუბში.

ამა წლის 21 აპრილს მელითონეთა კლუბში ლითონის განყოფილების ახალგაზრდა მუშების მიერ წარმოდგენილი იქნა პირველად ახალი ძალებით საგიტაციო ანტირელიგიური პიესა I მოქ მილცინისა „Пальба по Господу Богу залпом“ ვ. ზაკატოვის ხელმძღვანელობით. პიესამ კარგათ ჩაიარა.

პიესის შემდეგ სცენაზე გამოდიან პროლეტკულტის ლიტერატურულ სახელოსნოების წევრნი — პროლეტარული მგოსნები: ამხ. გრი, ნიმდი, არტუტ, რომელთაც მხატვრულად წაიკითხეს რამდენიმე სარევოლიუციო საგიტაციო ლექსები, დამსწრე მუშათა შორის მგოსნებმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვეს.

შემდეგ დაიწყო საკონცერტო განყოფილება, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს მუშათა ცენტრალურ კლუბის სახალხო საკრავების ორკესტრმა ამხ. სოგომონიანცის ხელმძღვანელობით და [illegible] ქალ-ვაჟებმა კონსერვატორიის მოწაფეებმა; აქაც წაკითხულ იქნა ლექსები, კომიკური სცენები, შემდეგ გაიმართა ცეკვა.

წითელ არმიელმა იაკოვლიევმა წაიკითხა ლექსი ძღვნათ „ილიჩსა“, რომელმაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მუშათა შორის.

საღამო დასრულდა ცეკვით დიდი ნასიამოვნები და კმაყოფილნი დაიშალნენ მუშები სახლებში. ვუსურვებთ მელითონეებს გამარჯვებას პროლეტარულ კულტურის ფრონტზე.

მელითონე.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

კითხვა: შესაძლებელია თუ არა სარგებლობა (გარდა მორიგი შვებულებისა) დამატებითი შვებულებით და თუ შესაძლებელია, ვისთვის და რა ხნით?

პასუხი: დამატებითი შვებულებით სარგებლობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომელთაც მუშაობა უხდებათ მეტად მძიმე და ჯანმრთელობისთვის მავნებელ შრომის პირობებში. აღნიშნულ დარგის მუშა-მოსამსახურეთ დამატებითი შვებულება ეძლევა არა ნაკლები ორი კვირის განმავლობაში.

კითხვა: შესაძლებელია თუ არა მცირე წლოვანთ არ მიეცეთ მორიგი ან დამატებითი შვებულება და მის ნაცვლად იმათთვის კომპენსაციის მიწოდება ფულად?

პასუხი: შეუძლებელია და კატეგორიულად აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც აღნიშნული და გათვალისწინებულია შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებებით.

კითხვა: შესაძლებელია თუ არა მთელი წლის განმავლობაში სწარმოებდეს შვებულებებით სარგებლობა?

პასუხი: შესაძლებელი და აუცილებელიც არის მორიგი შვებულებებით სარგებლობა (ყველა მუშა-მოსამსახურეთათვის) მთელი წლის განმავლობაში, თუ კი შვებულებით ამგვარი სარგებლობა ხელს არ უშლის წარმოების ნორმალურ მსვლელობას.

კითხვა: რა წესით სწყდება ადმინისტრაციას და მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენელ ორგანოს შორის შვებულებებით სარგებლობის საკითხის გარშემო აღძრული დავა?

პასუხი: ყველა შვებულებების სარგებლობის გამო, აღძრული დავა და გაუგებრობა სწყდება შრომის კომისარიატის სათანადო ორგანოებში საკონფლიქტო წესით.

კითხვა: აქვს თუ არა ადმინისტრაციას უფლება ჩაუთვალოს მორიგ შვებულებად, ანუ მის ანგარიშში ის შვებულება, რომელიც მუშა-მოსამსახურეს მიეცა ავად ყოფნის გამო?

პასუხი: არა აქვს.

(იხ. კოდ. შრ. კან. მუხ. 115, 116, 117, 118, 119).

მუშათა ქრონიკა

— დღეს, გაზ. „კომუნისტის“ ბინაზე შესდგება მუშა-კორესპონდენტების კრება.

შრომის ექსპლოატატორების გასამართლება.

— შრომის კანონების დარღვევისათვის მეოთხე რაიონის შრომის ინსპექტორმა ოქმი შეუდგინა — შემდეგ ვაჭარ-ექსპლოატატორებს:

— **ფეხსაცმლების სახელოსნოს** პატრონს (მცირე-ვანქის ქ. № 15) **ხაჩიკიანცს**, რომელიც ამუშავებდა მოზარდს — ლევან ნაბიევს. ეს უკანასკნელი არც დაზღვეული იყო და მას არც საანგარიშო წიგნაკი ჰქონდა.

— **წუღების სახელოსნოს პატრონს** (მუხრანის ქ. № 24) **ხოჯაიანცს**, რომლის სახელოსნოში მუშაობდნენ ორი შრომის ბირჟის გარეშე მიღებული ხელოსანი, ერთი მათგანი ანტონოვი 14 წლის მოზარდია; არც ერთი მათგანი დაზღვეული არ იყო და არც საანგარიშო წიგნაკი აღმოაჩნდათ.

ექსპლოატატორებზე შედგენილი ოქმები ინსპექტორის მიერ გადაგზავნილია სახალხო სასამართლოში კანონიერ მსჯავრის დასადებად.

ტყები“ და 2. პროფ. გ. ახვლედიანი; ოსური სინტაქსიდან (Dativus praedicativus). დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

— კვირას, 29 აპრილს, საათის 5 სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება კრება, მუსიკოს და საზოგადო მოღვაწე ია კარგარეთელის 35 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავ (5 მაისი) იუბილეზე მონაწილეობის (მილოცვის სახით) მიღების საკითხის გამოსარკვევათ.

სხვა და სხვა.

— **დახმარება ბანდიტებთან ბრძოლაში დაღუპულთ.** სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა მიმართა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს განკარგულების მოსახდენათ, რათა სამაზრო აღმასკომების საშვალებით აღრიცხულ იქნას ბანდიტიზმთან ბრძოლაში დაღუპული და დაზარალებული მოქალაქენი მათთვის შეძლებისადაგვარათ სახელმწიფო დახმარების აღმოსაჩენათ.

— **წითელი საჰაერო ფლოტისათვის.** დალაქთა პროფკავშირმა დაადგინა დღეს 29 აპრილს, კვირას, იმუშაონ ყველა სადალაქოებმა და საპარიკმახეროებმა და მთელი შემოსავალი გადასცენ წითელი საჰაერო ფლოტისა და მუშათა კლუბის „არაზინდოს“ სასარგებლოდ.

ხელოვნება

— **გრიგორ რობაქიძის საღამო.** დღეს, რუსთაველის თეატრში გაიმართება გრიგოლ რობაქიძის დიდი საღამო. წარმოდგენილი იქნება მისივე პიესა-მისტერია „ლონდა“. შემდეგ დაიდგმება „სადგურზე“ ცნობილი მუსიკოსების, მსახიობების და მწერლების მონაწილეობით.

— **ზაქ. ფალიაშვილის კონცერტი.** დღეს სახელმწიფო 1-ლ კონსერვატორიაში გაიმართება ზაქ. ფალიაშვილის მეორე სიმფონიური კონცერტი საინტერესო პროგრამით.

— **საბავშვო წარმოდგენა.** დღეს წითელ არმიელთა ცენტრ. კლუბში გაიმართება საბავშვო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება ვალ. გუნიას საბავშვო პიესა „მზეთ-უნახავი“. დასაწყისი დღის 12 საათზე.

— **მხატვარ პიტახიას გარდაცვალება.** გარდაიცვალა ტფილისში ახალგაზრდა მხატვარი ლ. პიტახია.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღით — საბავშო წარმოდგენა რუსულ ენაზე დიმოვის მონაწილეობით. საღამოს — „ბორის გოდუნოვი“.

პროვინციაში

ჰიდრო-ელექტრონული სადგური მდინარე აბაშაზე

(სენაკის მაზრა).

დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, სენაკის სამაზრო რევკომმა დაიბადა იდეა ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აშენების შესახებ მდინარე აბაშაზედ, თუმცა მძიმე ეკონომიურ პირობებში, ასეთი საქმის გაკეთება მეტად ძნელი იყო. სენაკის პასუხისმგებელ ამხანაგებს ამხ. მამულიას მეთაურობით არც ერთი წუთიც არ დაუკარგავთ ამ დიადი საქმის განსახორციელებელ საშუალებების გამონახვაში. სამაზრო აღმასკომის პლენუმის სხდომაზედ ბევრჯერ დასმულა ეს საკითხი, რათა გამოენახათ საშუალება.

სენაკის სამაზრო მეორე საგანგებო საბჭოთა ყრილობაზედ ამხ. მამულიამ დასვა ეს საკითხი. ყრილობის მიერ ერთხმად იქნა მიღებული ამხ. მამულიას რეზოლიუცია, რომლის მიხედვით უნდა გადაედგათ პრაქტიკული ნაბიჯები. თბილისიდან გამოიწვიეს ინჟინერები, რომლებსაც უნდა მოეხდინათ გამოკვლევა და შეედგინათ ხარჯთ-აღრიცხვა. ამხ. მამულიამ, როგორც დიდად დაინტერესებულმა ამ საქმეში, აღნიშნულ ინჟინრების გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა წაიღო მოსკოვში, სადაც გააცნო უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ჰიდრო-ელექტრონული ქვე განყოფილებას, იქ აღნიშნულ საქმის გასაკეთებლად დიდი იმედები აღუთქვეს, მოსკოვიდან აგრეთვე იქნა გამოწვეული ორი ინჟინერი.

დღეს ოდესღაც საოცნებო იდეა ღებულობს რეალურ სახეს.

ამ დიადი საქმის განსახორციელებლად მშრომელი გლეხობა მაზრის მასშტაბით იჩენს დიდ ენტუზიაზმს.

ყველა ადგილობრივი რესურსები იქნა გამოყენებული ამ საქმისათვის დღეს წარმოებს გაცხოველებული მუშაობა.

ჰიდრო-ელექტრონულ სადგურს შეუძლია მისცეს და განათოს მაზრის ყველა რაიონები. მასთან შეიძლება ენერგიის გადაყვანა, როგორც ქ. ხონში, ისე ქ. ზუგდიდში;

მაგრამ ამ სადგურს მარტო ასეთი დანიშნულება როდი აქვს, უნდა იქნეს ელექტრონის ენერგიით ამოძრავებული როგორც სახერხი ქარხანა, ისე წისქვილები მაზრის უმთავრეს პუნქტებში. არის გეგმა, რომ ვაკიანი ადგილები იქნას გადაბრუნებული ელექტრონის ძალის გამოყენების საშუალებით.

თ. ტაბალუა.

ასკანის თემი (ოზურგეთის მაზრა).

8 აპრილს („აღდგომას“) დილით, თემის ყველა სოფლის (5 სოფელია) ყოფილ ეკლესიებში გაიმართა კრებები, სადაც მოხსენებები გაკეთდა სარწმუნოების და „ქრისტეს აღდგომის“ შესახებ. მიუხედავად ცუდი ამინდისა, ხალხი ყოველგან საკმაოთ დაესწრო.

11 აპრილს, ადგილობრივ სახალხო სახლში (ყოფილ გვაბრათის ეკლესიის შენობაში) გაიმართა მიტინგი.

ბანდიტიზმთან ბრძოლის შესახებ მოხსენება გააკეთა ჯარის ნაწილის პოლიტკომმა ამხ. მარკოვმა. მან მოუწოდა ხალხს ენერგიული და აქტიური ბრძოლისაკენ ბანდიტიზმის წინააღმდეგ.

მოხსენების შემდეგ არჩეულ იქნა განსაკუთრებული სამეული ბანდიტიზმის აღმოსაფხვრელად სამეულში შედიან: თემკომის მდივანი თ. სიამაიშვილი, აღმასკომის თავმჯდომარე ლ. სოსელია და უპარტიო მოქ. სანდრო ჩავლეიშვილი.

15 აპრილს, ადგილობრივ სახალხო სახლში გაიმართა წარმოდგენა. დადგმულ იქნა ნინო ნაკაშიძის დრამა „ვინ არის დამნაშავე?“

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ დრამისათვის განსაკუთრებული მომზადება იყო საჭირო და ტეხნიკურადაც დაბრკოლებები შეგვხდა, პიესა გვარიანად ჩატარდა. კარგად ითამაშეს და განსაკუთრებული ყურადღება მიიქციეს: ავთ. შარაშიძემ (სიკოს როლში), ქეთია მელუამ (ფატის როლში), და ტასია სიამაიშვილი (ალიხეს როლში), წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და ბევრიც გარედ დარჩა, რადგან მეტს აღარ იტევდა შენობა და ბილეთებიც აღარ იყო.

მადლობის ღირსია მოქ. ავთანდილ შარაშიძე, რომელიც რეჟისორობდა და ხელმძღვანელობდა აღნიშნულ პიესის დადგმას.

პრ. ახკანელი,

ლეჩხუმის მაზრა.

ა/წ. 1-ლი იანვრიდან ლეჩხუმის სამაზრო პარტიული კომიტეტი შეუდგა მაზრის ფარგლებში ანტირელიგიური კამპანიის სისტემატიურად ჩატარებას. რომელმაც დიდი გარდატეხა მოახდინა ხალხის შემეცნებაში, თვით მოხუც გლეხობაშიც კი. გლეხობაში მოხდა გონებრივი გადატრიალება და მიწიერ ბატონების დამხობასთან ერთად შეიქმნა ლტოლვა ზეციურ ბატონების დასამხობათ. 1-ლი აპრილიდან მოწვეულ იქნა მაზრის მასშტაბით ფართო საზოგადოებრივი კრებები, რომელთა დადგენილების თანახმად ჩამორთმეულ იქნა სულ 73 ეკლესია.

მიღებულია ზომები ყოფილი საეკლესიო შენობების თეატრებად და სახალხო სახლებად გადასაკეთებლად.

სოფლელი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ახალგაზრდობის კომკავშირის პოლონელ წევრებს, რომლებმაც იციან პოლონური ენა, გამოცხადდენ კვირას, 29 აპრილს დღის 4 საათზე, მორიგ სხდომაზე პოლონელ მუშათა კლუბში (ნიკოლაევის ქ. № 59), გამოცხადება სავალდებულოა.

ვინც არ გამოცხადდება, ის მიიღებს საყვედურს პრესის საშუალებით.

ტფილისის კომიტეტის მდივანი:
ლომიძე.
ინსტრუქტორ-ორგანიზატორი: გუსტირ-სტუპნიცკი.

პროფესიული.

განათლების მუშაკთა სახლში

— ორშაბათს, 30 აპრილს საღამოს 7 საათზე ფიზიკო-მათემატიკურ ქვე-სექციაში ა. გ. ბალაბუევი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე „ელემენტი და მატერია თანამედროვე მსოფლმხედველობის გაშუქებით“.

— სამშაბათს, პირველ მაისს საღამოს 7 საათზე ლომთაძის ცნობა: „საბავშო სახლში საკლუბო მუშაობის ცდა“.

— ოთხშაბათს. 2 მაისს, საღამოს ხუთ საათზე ჩუბინის ლექცია, საქართველოს შედარებითი ეტნოლოგიის კურსის მიხედვით.

საღამოს 7 საათზე ისტორიულ ქვე-სექციაში კოზლოვას და კბანცევას ცნობა „აფრიკის ზღაპრების შესახებ, როგორც მეხუთე ჯგუფის მასალების“.

საღამოს 7 საათზე საბავშო ბაღების ქვესექციაში ხუბოვას მოხსენება თემაზე: „გართობა და შრომა საშკოლო ჰასაკამდე.“

სახლის გამგე — შიუკაშვილი-ჯალიუჟნაია.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ვარვარე იოსების ასული და სპირიდონ ოქროპირის ძე, ძმები მელქისედეკ და ივანე სპირიდონის ძე კანდელაკები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებულის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საექიმო ფაკულტეტის მე-6 კურსის სტუდენტის

აბიათარ (აბო) სპირიდონის ძე
კანდელაკის

მოსახსენებლად გადახდილი იქნება წლის პანაშვიდი ვერაზე წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე კვირას 29 აპრილს საღამოს 5 საათზე.

სახელმწიფო
ოპერა
კრ. 354—1—1

დღეს, 29 აპრილს.
საიუბილეო წარმოდგენა
ფაუსტი
კარმენი
დასაწყისი სრულ 8 საათზე.

რუსთაველის
თეატრი
კრ. 355—1—1

დღეს, 29 აპრილს,
გრიგოლ რობაქიძეს
დიდი საღამო
ლონდა
სადგურზე შეხვედრა
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

---

1 სახელმწიფო კონსერვატორია
ხვალ, კვირა დილის 12 ს., 29 აპრილს,
შესდგება
მეორე სიმფონიური კონცერტი
კონსერვატორიის მოწაფეების, დირექტორ ზაქ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.
დაწვრილებით პროგრამებში.

ბილეთები—კონსერვატორიაში დილის 10 ს.-დან 2 საათამდე საღ. 6—8 საათამდე.
625—1—1

ამ.-კავკასიის რკინის გზათა
სამმართველო

ამით აცხადებს ტვირთის გადამგზავნ საყურადღებოთ, რომ ტფილისის სადგურთან დაარსდა ავტო-ტრანსპორტის განყოფილება, რომელიც აწარმოებს ტვირთისა და საქონლის გადატანას ზომიერ ფასებში გამგზავნელის სახლზე ტფილისის სადგურიდან ბინამდე. მაღაზიამდე და საწყობამდე. ყველა კლიენტებმა, რომელთაც სურთ საქონლისა და ტვირთის გადატანა ავტო-ტრანსპორტით, უნდა აღნიშნონ სამარკო საბუთებში და ქვითარებში შემდეგი: „გადატანილი იქნეს სახლში ნაჩვენებ მისამართით“ — სახელი, გვარი და სწორი მისამართი. საქონლის და ტვირთის გადაგზავნის ოპერაციები ხდება ქალაქის ტფილისის სადგურის განკარგულებით.
კრ. 347—5—1.

საქართ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის საბეითალო სასანიტარო განყ.
საბეითალო-ბაქტერიოლოგიურმა ლაბორატორიამ
გამოუშვა გასასყიდათ
ციმბირის ჭირის საწინააღმდეგო შრატი
1 გრამი 5 კაპ. ოქროთი.
1-ლი და მე-2
ციმბირის ჭირის ვაქცინები
(პროფ. ცენკოვსკის ტიპისა)

დოზა (1-ლი—1,0 და მე-2—0,5) ღირს 5 კაპ. ოქროთი, პურბელში მოთავსებით და გადაგზავნით.

ლაბორატორიაში სწარმოებს დიაგნოსტიკური (მიკროსკოპიული და ბაქტერიოლოგიური) გამოკვლევა და მიიღება დაკვეთა ზოგიერთ ფერად საკვებავ ნივთიერებაზე.

ტფილისი—კობის ქუჩა, № 9. ტელ. 15-04.
(კრ. 353 3—1

განცხადება

ქალაქის აღმასკომის საფინანსო განყოფილება საყოველთაო საყურადღებოთ ამით აცხადებს, რომ ა. წ. 1 მაისიდან ყოველ-გვარ გადასახადების ასაკრეფ ოქროს მანეთის კურსათ ქალაქის აღმასკომი იხელმძღვანელებს წინა დღის ოფიციალურ ოქროს მანეთის კურსის მიხედვით.

საფინანსო განყოფილების გამგე ფილკოვსკი.
3—2

სახლი

თავისუფალი ბინით. ვისაც სურს ხელსაყრელ პირობებში შეიძინოს ან გაქირავოს, მიმართოს დავიდოვის ქუჩ. № 3, ბინა 2, 11—2 ს. და 5—7 საათამდე. გოლოვინის ქუჩის გვერდით.
(618 2—1)

საჯარო ვაჭრობა

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ორშაბათს ა. წ. 30 აპრილს დილის 12 საათზე აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქალაქის ხუთი სასწორების (თათრის მოედ., დესიმონოვის მოედ., მალაკნის მოედ., ნუნუფაროვის და მუხრანის რიყეზე) იჯარით გასაცემად ცალკე პირზედ ან იურიდიულ უფლებით აღჭურვილ ამხანაგობაზედ.

ვაჭრობა დაიწყება 15.000 მანეთიდან ოქროთი ხუთივე სასწორზე წელიწადში. დაწვრილებით კონდიციის გაცნობა შეიძლება ყოველ დღე აღმასკომში ოთახი № 50.
4—4

ტყე დახერხილი

სხვადასხვა ზომის
იყიდება ხუმბათოვის ბორჯომის მამულის ქარხანაში.
მიიღება შეკვეთა დამზადებაზე.

სახელ. ორგ., კოოპერატივები, სხვა ორგ. და კერძო პირები მიწვეულნი არიან მაგარი კონტრაქტის შესაკვრელად ქარხნის მიერ დახერხილი ტყის მიწოდებაზე 30—40 ათასი კვადრატიული ვერშოკამდე ყოველთვიურად.

მისამართი: თბილისის, საპიორის ქ. 37, მთავარი საკურორტო სამმართველოს მრეწველობის განყოფილება.
344—3—3

განცხადება

თფილისის საქონლის და საფონდო ბირჟის
27 აპრილიდან ბირჟის კრებები სწარმოებს
11-დან—12 საათამდე.

არა წევრნი თითეულ შეკრებაზე დაშვებულ იქნებიან მორიგი ბირჟის კომიტეტის წევრის ნებართვით და ბირჟის ორი წევრის წერილობითი რეკომენდაციით.

კრ. 352 2—2
ბირჟის კომიტეტი.

საჯარო ვაჭრობა

ს. ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი იწვევს ყველა მსურველთ მიიღონ მონაწილეობა წერილობითი ვაჭრობაში, რომელიც გაიმართება ამ წლის 11 მაისს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ქვემდებარე ქ. ტფილისის საავადმყოფოებისათვის საკმაო სიმსუქნის ძროხის ხორცის დამზადებაზე 15-20 ფ. რაოდენობით შემდეგი ვადით: 12 მაისიდან—1924 წ. 1 იანვრამდე.

განცხადებები შეტანილ უნდა იქნენ დაბეჭდილ კონვერტებით ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამეურნეო-მატერიალურ განყ. (ევანგულოვის ქ., 12) ფუთი ხორცის ფასის აღნიშვნით და შემდეგი საბუთების წარდგენით: ხაზინის კვიტანცია ხელშეკრულების თანხიდან 10 პროც.-ის შეტანის შესახებ ან საგირაო მოწმობა უფლებამოსილი ნოტარიუსისაგან დაგირავებულ ქონების შესახებ.

იჯარის გაცემის დროს ჯანმრთ. სახ. კომისარიატი იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებებში აღნიშნულ ფასებით, არამედ აგრეთვე კომისარიატის ინტერესებიდან გამომდინარე მოსაზრებებით.
(კრ. 351 3—2)

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი

ამით აცხადებს დაინტერესებულ პირთა საყურადღებოთ, რომ 1923 წ. 29 აპრილს, დილის 10 საათ., აღმასკომის დარბაზში (№ 12)

დანიშნულია
შეჯიბრება

აღმასკომისათვის 3000 კუბ. საჟ. მაგარი ხარისხის შეშის დამზადებაზე ფრანკო-აღმასკომის საწყობებში.

შეშის ჩაბარება შეიძლება ნაწილობრივადაც.

განცხადების მიღება დაწვრილებითი პირობებით შეიძლება ა. წ. 29 აპრილამდე დაბეჭდილ პაკეტებში აღმასკომის კომენდანტის ოთახში № 22.

ყოველივე ცნობებს ამის შესახებ აძლევს აღმასკომის კომენდანტურა.
პრეზიდიუმი.
1055 5—5

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით [illegible]
მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყოროღლის ქ. № 20.
(501—25—14)

დაიკარგა გრიგოლ სერგის ძე ტერ-მარკოზოვის სახლის დავთარი № 844/7229-ით, მიღებული 1-ლ სამილიციო უბნიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად.
622—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა რაჭის მაზრის მილიციის მიერ გაცემული № 433, სერგო ბაქრაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
616—1—1

დაიკარგა მე სერაპიონ გიორგის ძე კობერიძემ ერთი პირადობის მოწმობა მიცემული „აბანო-სამრეცხაოს“ № 2. აღმოჩენილ ა გამგეობიდან № 11, 8 იანვრიდან 1923 წ. და კავშირის წიგნაკი საექიმო სასანიტარო კავშირის გამგეობისგან № 1736. ჩაითვალოს გაუქმებულად.
621—1—1

დაიკარგა ვასილი ნადირაძის სახელზე თბილისის სინოდალურ კონტორიდან გაცემული მეტრიკული მოწმობა. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
615—1—1

დაიკარგა სიმონ ჩერქეზიშვილის სახელზე ნოტარიუს ქართლიშვილის მიერ 1912 წელს გაცემული ნასყიდობის საბუთი ჩაითვალოს გაუქმებულათ.
617—1—1

დაიკარგა მარიამ ავეტიკოვის სახელზე გაცემული პირადობის მოწმობა. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
619—2—1

დაიკარგა პოლიკარპე ლომინაიშვილის სახელზე საქართველოს უნივერსიტეტიდან გაცემული პირადობის მოწმობა № 647 და შრომის ბირჟიდან—უმუშევართა წიგნაკი, ჩაითვალოს გაუქმებულათ.
620—1—1

დაიკარგა გრიგოლ ტერ-მარკოზოვის სახელზე გაცემული სახლის წიგნი № 844 | 7229. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
622—1—1

დაიკარგა კალანტაროვის სახელზე სამხედრო კომისრის მიერ გაცემული საარიცხვო სარეგისტრაციო ბარათი ჩაითვალოს გაუქმებულათ.
614—1—1

დაიკარგა მიხეილ მაღლობლიშვილის სახელზე მე-4 კომისარიატის მიერ გაცემული სარეგისტრაციო ბარათი № 263. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
624—1—1